

ფესტოსის დისკო

გზავნილი გალაქტიკიდან



PHAISTOS DISC

Message From Galaxy

თბილისი 2012 Tbilisi

UDC(უკ)003.212+001.94+930.85
ვ-251

სამეცნიერო რედაქტორი: გეოგრაფიის დოქტორი — ლამზირა ლაღიძე
რედაქტორი: გიორგი ბოჭორიშვილი
რეცენზენტი: ფიზიკა მათემატიკის დოქტორი, ასტროფიზიკოსი — ლევ გეონჯიანი
კორექტორი: ქეთი დევიძე
თარგმანი: ფარიზა ალბოროვა
კომპ. უზრუნველყოფა: გიორგი ჩიქვინიძე

ნიგნში გამოყენებულია კინორეჟისორ დავით გოგუაძის ფოტომასალა.
მონოგრაფიების გამოცემაში განეული თანადგომისთვის ავტორი მადლობას უხდის; ქალბატონ ნინი მესხ-
იძეს, ბატონ ზურაბ ზურაბიშვილს.

ავტორის შესახებ:

დაბადების თარიღი — 03.09.1963.

აკადემიური ხარისხი — გეოგრაფიის დოქტორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული გამოყენებითი ეკოლოგიის ინტერდისციპლინარული სამეცნიე-
რო-კვლევითი ინსტიტუტის, ცივილიზაციების ეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

გამოცემული აქვს მონოგრაფიები:

„პერსონალური ტორნადო ფარაონის სულისთვის“ (ქართულ და რუსულ ენებზე 2003 — 2004წ.). „ციური
ექსპრესი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე. 2009წ.).

„მეშვიდე საყვარი - აპოკალიფსი“ (ქართულ ენაზე 2009წ.)

ავტორი დაკავებულია ფერწერით. 4 პერსონალური და 2 ჯგუფური გამოფენის მონაწილე.

ნიგნების ელექტრონული ვერსია და ფერწერული ტილოები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე —
http://fereidani.ge/138_tornado/138_tornado.html

© გიზო ვაშაკიძე

Science editor: Lamzira Laghidze, doctor of geography

Editor: Giorgi Bochorishvili

Reviewer: Lev Geonjian, Doctor of Physics and Mathematics, astrophysicist

Proofreader: Ketii Devidze

Translated by: Fariza Alborova

Computer support: Giorgi Chikvinidze

Photos used in this book are made by film director Davit Goguadze.

The author's special thanks for support in the edition of the monograph to Mrs. Nini Meskhidze, Mr. Zurab Zurabishvili.

About the author: date of birth — 03.09.1963, academic degree — doctor of geography, the head of the Civilization Ecology
Department of the Interdisciplinary R&D Institute of Applied Ecology at the Faculty of Hard and Natural Sciences of Ivane
Javakhishvili Tbilisi State University.

Monographs:

“Personal Tornado for Pharaoh's Soul” (in Georgian and Russian languages), 2003-2004

“The Heaven Express” (in Georgian and English languages), 2009

“The Seventh Trump — Apocalypses” (in Georgian language), 2009

Paintings:

4 personal and 2 group exhibitions.

You can view the electronic versions of the monographs and paintings using the link: <http://fereidani.ge/138-torbado/138-tornado.html>

© Gizo Vashakidze

გარეკანის პირველ გვერდზე — ფესტოსის დისკოს „ა“ გვერდი

გარეკანის მეოთხე გვერდზე — ფესტოსის დისკოს „ბ“ გვერდი

The first page of cover — Phaistos disc, side „A“

The fourth page of cover — Phaistos disc, side „B“

ISBN 978-9941-0-3825-9

2009 წელს გამოიცა გ. ვაშაკიძის მონოგრაფია „ციური ექსპრესი“, რომელიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში არსებული უძველესი დამწერლობის — პიქტოგრამების — გაშიფვრას ეხება. მიგნებულ იქნა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში განლაგებული პიქტოგრამების შინაარსის ამოკითხვის საერთო წესები. მიუხედავად პიქტოგრამების სხვადასხვა კონტინენტზე არსებობისა, მიღებული შინაარსი დაემთხვა ერთმანეთს. პიქტოგრამებში გადმოცემულია ინფორმაცია დედამიწაზე რამდენიმე ათასი წლის წინ უცხო პლანეტიდან განხორციელებული ექსპედიციების შესახებ, კერძოდ, ექსპედიციის საფრენი ხომალდების გამოსახულებები, ხელოვნური თანამგზავრები, ელექტრომაგნიტური ტალღების გადამცემი დანადგარები, მათი ვარსკვლავის ზუსტი კოორდინატი, მათი საცხოვრებელი პლანეტის აღწერილობა, ექსპედიციის კოსმოსში ფრენის სპირალური ტრაექტორიები და ა.შ. ავტორის აზრით, დედამიწაზე არსებული სპირალური ტიპის დამწერლობას აღნიშნული ექსპედიციების ფრენის სპირალური ტრაექტორიების აღწერილობებმა ჩაუყარა საფუძველი. სპირალური სახის პიქტოგრამები გვხვდება პერუში, მექსიკაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში...

1908 წელს საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში არქეოლოგიური გათხრების დროს თიხის ფირფიტას მიაკვლიეს. თიხის ფირფიტა დისკოს ფორმისაა, დისკოზე ორივე მხრიდან სპირალია დახატული. სპირალურ ლენტში კი პიქტოგრამებია განლაგებული.

დისკოზე არსებულმა სპირალურმა ფიგურებმა მიიპყრო ავტორის ყურადღება და მონოგრაფიაში „ციური ექსპრესი“ გამოთქვა მოსაზრება დედამიწის სტუმართა და ფესტოსის დისკოს შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ. სწორედ ამ აზრს ავითარებს ავტორი წინამდებარე წიგნში და გთავაზობთ ფესტოსის დისკოს სრულ გაშიფვრას.

ფესტოსის დისკოს შინაარსი მოიცავს მეცნიერების სხვადასხვა სფეროს, რის გამოც ავტორმა მიიღო კონსულტაცია სპეციალისტებისაგან: მედიცინის დოქტორი — ნინო ჭალიაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, ასტროფიზიკოსი — ლევ გეონჯიანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი — ჯემალ ჯინჩარაძე.

წინამდებარე წიგნის პირველ თავში წარმოდგენილია წიგნის „ციური ექსპრესი“ ნაწილი — ნაშრომი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფესტოსის დისკოს გაშიფვრას.

In 2009 was published G. Vashakidze monograph “The Heaven Express” with the deciphering of pictograms, the ancient inscriptions existing in various places worldwide. There the general rules of interpretation of the content of those pictograms. Were provided though those pictograms are located, on different continents, the content of them is similar. The pictograms produce the information about the expeditions carried out from the alien planet to our Earth thousands years ago. They reproduce the images of alien spaceships, artificial satellites, electromagnetic transmitters, exact coordinates of their stars, description of their home planet, spiral trajectories of their flight in the space etc. In the author's opinion the spiral type script existing on the Earth is based on the descriptions of spiral trajectories of the flight of alien's expeditions. The spiral-type pictograms are found in Peru, Mexico, Egypt, Greece, Georgia, North Caucasus...

In 1908, on the island Crete in Greece, during the archeological excavations near the town Phaistos was found the clay plate of disc shape. On the both sides of the disc is drawn the spiral and inside this spiral tape are placed pictograms.

The spiral figures on the disc have attracted the author's attention and in his monograph “The Heaven Express” he has expressed the idea about the connection between the aliens who had visited the earth and the Phaistos disc. This idea is developed by the author in this book where he provides the full description of the Phaistos disc.

The content of the Phaistos disc covers different spheres of the science. The author has got consultations of the specialists in those spheres: Nino Chaghiashvili, M. D., astrophysician Lev Geonjian, Doctor of Physics and Mathematics, Jemal Jincharadze, Doctor of Agrarian Sciences.

In the first part of this book is presented a chapter from “The Heaven Express”, the work where the deciphering of the Phaistos disc was initiated.

სტუმართა ნაკვალევი დედამიწაზე

სურათებზე წარმოდგენილია უცხოპლანეტელთა სტუმრობის კვალი დედამიწაზე:



სურ. (Fig.) 1 — საჰარის უდაბნო. „კოსმონავტი“. თარიღდება ძვ.წ.6000 წლით. / Sahara desert. „The astronaut“. Dated back to 6000 B.C.

TRACES OF VISITORS ON THE EARTH

On the figures below are presented the traces of visit of aliens on the Earth:



სურ. (Fig.) 2 — იტალია, ვალკამონიკა. „კოსმონავტები“. / Italy, Valkamonica. „The austronauts“.



სურ. (Fig.) 3 — ავსტრალია. „კოსმონავტი“. / Australia. „The astronaut“.



სურ. (Fig.) 4 — პერუ, უდაბნო ნასკა. საფრენი ხომალდიდან გადაღებული ფოტო. / Naska desert. Peru. The photo shot from the aircraft.

სურ. (Fig.) 5 — საქართველო. საბრძოლო კოშკში ჩაშენებულ ქვაზე არსებული თვითმფრინავის გამოსახულება (ჩანახატი). / Georgia. The image of aircraft on the built-in stone of the turret (sketch)






სურ. (Fig.) 6 — საქართველო, ხევსურეთი, სოფ. კისტანი, აბულთაურთ ციხე. კოსმოსური ხომალდის გამოსახულება. / Abulatauri fortress, village Kistani, Khevsureti, Georgia. Image of spacecraft.

საქართველოს მთებში საბრძოლო კომპის ფანჯრის რაფებად არის გამოყენებული მოგრძო ქვები, რომლებზეც წარმოდგენილი ნახაზები რამდენიმე საფეხურიანი ხომალდის ფორმისაა (სურ. 6). საერთო ხედში მოცემულია ხომალდის ძირითადი იერი. ნახაზის ავტორი პირობითად გვიხსნის რამდენიმე „ფანჯარას“, წრის სახის მქონეს, რაც, ჩემი აზრით, სიმბოლურად ნიშნავს „ში“ — გნით, რის მეშვეობითაც საშუალება გვქვია ვიხილოთ ხომალდის შიდა მოწყობილობები. ხომალდის ქვედა ნაწილში ვხვდებით ორ ასეთ პირობით ფანჯარას. რომელშიც (სურ. 7a) მოცემულია მაღალი წნევით გამოფრქვეული ცეცხლის ხაზები. ასეთი წნევის მისაღებად საჭიროა ტურბინებ — „ში“ ერთმანეთს შეხვდეს (⊗) (გადაკვეთა, ანუ შეხვედრა): ნაპერწკალი, ჟანგბადი, სანავი... აღნიშნული შეხვედრისა და წნევის შექმნის პროცესში მონაწილეობს ძრავა, რომელიც მოთავსებულია ხომალდ — „ში“ რეაქტიული ტურბინის თავზე (⊗).

ხომალდის განხილული ნაწილის მეშვეობით დაიძლევა გრაფიკაციის ძალა. კოსმოსში გასვლის შემდეგ ხომალდის ქვედა ნაწილი განეშორება ზედა ნაწილს, ეს კარგადაა აღწერილი ნახატში ხაზებით >>>>. მაღაზიაში იყიდება მინერალური წყალი, რომლის თავსახურს იგივე ნიშნები ახატია >>>>; ამ მიმართულებით თავსახურის დატრიალება მას ბოთლს აცვლებს.

სურათზე 7b, დახატულია ხომალდის ის ნაწილი, რომლიდანაც იშლება მზის ბატარეები



სურ. (Fig.) 7 — ხომალდის გრაფიკული გამოსახულება. / Graphical image of spacecraft.

The frames of the window of the turret located in the Georgian highlands were made of oblong stones where the drawing of multistage launch vehicle is presented (Fig. 6). In the general view is given the basic presentation of the vehicle where its author conventionally opens some windows of circle form which symbolically means “in”-side and enables us to observe the interior of the spacecraft. In the lower part of the spacecraft we can see two conventional windows (Fig. 7a). In the bottom of the spaceship are shown the lines picturing the high-pressure flame. In order to obtain such pressure “in”-side the turbines shall meet (⊗) (by intersection or encounter): sparks, oxygen, fuel... In process of this encounter and creation of pressure the main participant is the engine which is placed “in”-side the vehicle on the top of the reactive turbine (⊗).

By this part of the vehicle the gravity force is overcome. After launching to the space the lower part of the vehicle separated from the upper part. This is well shown on the drawing by arrows >>>>. For example we can bring the cap of mineral water bottle sold in the stores now. This cap has the same arrows >>>>; which show the direction to turn the cap in order to open the bottle.

In the middle is drawn that part of the vehicle where the solar batteries and other equipment are placed (Fig. 7b).

In the upper part of the spacecraft we can see the second engine (Fig. 7c). It is smaller than the first one. On the engine top, or on the highest point of the vehicle should be placed the control

და სხვა მონყობილობები. ხომალდის ზედა ნაწილში ვხედავთ მეორე ძრავას (სურ. 7c), იგი შედარებით მცირეა, ვიდრე პირველი. ძრავას თავზე, ანუ ხომალდის უკიდურესად მაღალ წერტილში, წესით, ხომალდის მართვის კორპუსი უნდა იყოს განლაგებული. სამწუხაროდ, ქვის ეს ნაწილი დაზიანებულია, თუმცა, აქ დატანილი ხაზები ტოვებს შთაბეჭდილებას თავდაყირა მდგომარეობაში მყოფი არსებისა, რომელიც საყრდენის გარეშეა ჰაერში, რაც მხოლოდ უწონადობის მდგომარეობაშია შესაძლებელი.

კოორდინატები

საინტერესოა საქართველოში მდებარე შემდეგი ქვა — სურ. 8. მარჯვნივ ვხედავთ ხომალ-

panel of the spacecraft. Unfortunately, this part of the stone is damaged, but still the lines on the picture provide the impression of a creature in the suspended state which stays in air without any support. Such disposition is possible only in the state of weightlessness.

Coordinates

Let's turn to the next stone found in Georgia (Fig. 8). To the right we can see the engine inside the spacecraft (⊗), a little to the left we see the engine apart the spacecraft ✕. Below the engines we can see the sign of the encounter ✕. In my opinion, this picture may be explained as follows: they left the Earth by spacecraft (⊗) where they encountered the earthlings ✕. After overcoming



სურ. (Fig.) 8 — სტუმართა ვარსკვლავის კოორდინატები / Coordinates of visitor's star

დის ძრავას ხომალდში (⊗). ცოტა მარცხნივ კი ძრავას ხომალდის გარეშე ✕. ძრავების ქვემოთ მოჩანს შეხვედრის ნიშანი ✕. ჩემი აზრით, ეს სურათი შემდეგნაირად აიხსნება: ისინი ხომალდით (⊗) გაფრინდნენ დედამიწიდან, სადაც ჩვენთან ჰქონდათ შეხვედრა ✕. დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევის შემდეგ მათ მოიშორეს პირველი ძრავა ✕. ამით ისინი საბოლოოდ დაემშვიდობნენ დედამიწას. გადავინაცვლოთ ქვის მარცხენა ფრაგმენტზე. სურათზე წარმოდგენილია ცენტრალური ღერძის გარშემო მბრუნავი ვარსკვლავები ☼, რაც ჩვენი გალაქტიკის ცენტრის გარშემო ვარსკვლავების ბრუნვას ჰგავს, სურათის ცენტრში კი ხუთთითიან ნახატს ვხედავთ. ამ ნახატიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ისინი გაფრინდნენ 5 ვარსკვლავისგან შემდგარი ჯგუფისკენ, სადაც მესხთუე ე.წ. „სტუმართა“ კუთვნილი ვარსკვლავია, განლაგებით კი ეს

the Earth attraction the first engine was removed ✕ and the aliens finally left the orbit of the Earth. Let's go to the left fragment of the stone. The picture shows the stars turning round the central axis ☼ that looks like the turn of stars round the center of our Galaxy. In the center of the picture we see the image of five fingers. Based on this drawing we can conclude that they left the group composed of 5 stars where the fifth one is the native star of the visitors. By its location this group of stars is between the Sun and the center of Galaxy. Identification of location is very important because in various directions many stars may be named as the fifth one.

Besides Georgia (Fig. 9) the coordinates of visitors are indicated on various pictograms in different countries. On Fig. 10 in front of the aircraft are pictured five fingers (the model of the aircraft is given in the book "The Heaven Express"¹).

ჯგუფი მდებარეობს მზესა და გალაქტიკის ცენტრს შორის. განლაგების მითითება ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სხვადასხვა მიმართულებით მეხუთედ შესაძლოა უამრავი სხვადასხვა ვარსკვლავი დასახელდეს. საქართველოს გარდა (სურ. 9). სტუმართა კოორდინატები მითითებულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პიქტოგრამებზე.



სურ. (Fig.) 9 — საქართველოში მდებარე ქვა / The stone found in Georgia

On the same stone found in Mexico, the visitors' coordinates are given in other way.

In particular, the pictogram on Fig. 11 presents the view from the vehicle window where we can see the solar batteries paced on the vehicle wings, the stars and the spiral trajectory of flight of visitors. The ray from the fifth star (from the right to the left) falls on the solar battery. We can take it as



სურ. (Fig.) 10 — მექსიკაში (კივასი) არსებული ქვის ფრაგმენტი / The fragment of stone found in Mexico (Kivas).

მე-10 სურათზე საფრენი ხომალდის წინ ხუთი თითია მიხატული (საფრენი ხომალდის მანქანი მოცემულია წიგნში “ციური ექსპრესი”).

მექსიკაში არსებულ იმავე ქვაზე, სტუმართა კოორდინატები სხვაგვარადაცაა მითითებული.


კერძოდ, სურ. 11-ზე წარმოდგენილ პიქტოგრამაზე მოცემულია ხედი საფრენი ხომალდის სარკმლიდან, საიდანაც მოჩანს ხომალ-

the indication how many stars shall the expedition pass in order to reach their own star. The pictogram presented on Fig. 11 is disclosed on Fig. 12. The full definition of disclosure of this pictogram is given in the book “The Heaven Express”.

Let's have a look at the stone found in Georgia (Fig. 13). It gives us the interesting information about one of long-distance planets which is located at the fifth star from us. We can suppose that



სურ. (Fig.) 11 — მექსიკაში (კივასი) არსებული ქვის ფრაგმენტი / The fragment of stone found in Mexico (Kivas).



სურ. (Fig.) 12 — მეთერთმეტე სურათზე მოცემული პიქტოგრამის გაშლა. / Disclosure of pictogram given on Fig. 11

დის ფრთაზე განლაგებული მზის ბატარეები, ვარსკვლავები და სტუმართა ფრენის სპირალური ტრაექტორია. მეხუთე ვარსკვლავიდან (მარჯვნიდან მარცხნივ) მზის სხივი ეცემა მზის ბატარეაზე. ეს უნდა მივიჩნიოთ იმის მიმანიშნებლად, თუ რამდენი ვარსკვლავი უნდა გაიაროს ექსპედიციამ საკუთარ ვარსკვლავამდე მისასვლელად. სურ. 11-ზე წარმოდგენილი პიქტოგრამა სრულად გაშლილია მე-12 სურათზე. პიქტოგრამის გაშლის სრული განმარტება იხილეთ წიგნში „ციური ექსპრესი“.

განვიხილოთ ქვა, რომელიც საქართველოს მთიანეთშია, სურ. 13. იგი საინტერესო ინფორმაციას იტევს ერთ-ერთი შორეული პლანეტის შესახებ, რომელიც ჩვენგან მეხუთე ვარსკვლავთან მდებარეობს. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს დედამიწის სტუმრების საცხოვრებელი პლანეტა. სურათზე, მარჯვნივ, ვხედავთ ნაცნობ ნიშანს, ხუთ თითს, ნიშნად იმისა, რომ ისინი ჩვენგან მეხუთე ვარსკვლავთან მდებარეობენ. ქვაზე მარცხნივ მდებარე ფიგურა, ჩემი აზრით, მათი საცხოვრებელი პლანეტის კონტურის გამოსახულებაა. ამ აზრს შემდეგი არგუმენტები ამყარებს: აღნიშნული გამოსახულება არ წარმოადგენს იდეალურ სფეროს, რითაც ის დედამიწის ფორმას წააგავს.

it should be the home planet of the visitors. On the figure, to the right we see again the familiar sign – five fingers – which shows that they leave near the fifth star from us. To the left on the stone we can see a figure, which, in my opinion, outlines the planet of their residence. This opinion is based on the following arguments: this picture does not show the ideal circle like the shape of the Earth.

On its poles this planet is flattened like the Earth but it bulges on the equator. It has the shape of a turning body because, according to the physics laws, the centrifugal forces which develop during the revolution have their greatest effect round the core of the rotations axis, i.e. on the so called equator, where the mass is bulging. Therefore, we may assume that the axis of rotation of the body of such shape is situated in the flattened areas, between the so called poles (Fig. 14). In such cases the axis gives the impression of the inclined one. The inclined axis of the planet within its revolution round the star evidences the existence of the seasons of the year. In the center of it very interesting is the existence of three figures. One of them (the upper one) repeats the shape of water wave - ~ In my opinion they provide the information about the water existing in this planet. The second drawing supports this opinion - X.



სურ. (Fig.) 13 — საქართველო, სოფ. კისტანი, ავთანდილიანთ ციხე. / The Avtandil fortress, village Kistani, Georgia.

პოლუსებზე ის, დედამიწის მსგავსად, შეჭყლექილია, ხოლო ეკვატორზე — გაბერილი. ეს მბრუნავი სხეულის შესატყვისი ფორმაა, ვინაიდან, ფიზიკური კანონების მიხედვით, ბრუნვისას ვითარდება ცენტრიდანული ძალები, რომელიც ყველაზე დიდ მნიშვნელობას იღებს ბრუნვის ღერძის შუაგულის გასწვრივ,

As we see here four lines having the shape of water wave originate from the center. In the Egyptian hieroglyphs (which, in my opinion, succeed these pictograms) the lines originating from the center have several meanings. According to one of them, the figure of such kind means “count” (see Adolph Erman²).

ანუ ე.წ. ეკვატორზე, სადაც ხდება მასის გამობერვა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფორმის სხეულის ბრუნვის ღერძის მდებარეობა შეიძლება ვიგულისხმოთ შეჭყლეტილ მიდამოებში, ე.წ. პოლუსებს შორის, სურ. 14. ასეთ შემთხვევაში ღერძი დახრილის შთაბეჭდილებას ტოვებს. პლანეტის დახრილი ღერძი, ვარსკვლავის გარშემო ბრუნვისას, წელიწადის დროების არსებობას განაპირობებს. აღნიშნული ქვის ცენტრში საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის დამტევი სამი ფიგურაა წარმოდგენილი. პირველი მათგანი (ზედა) წყლის ლივლივის ფორმას იმეორებს ~. ჩემი აზრით, ისინი გვთავაზობენ ინფორმაციას აღნიშნულ პლანეტაზე არსებული წყლის თაობაზე. მეორე ნახაზი კიდევ უფრო ამყარებს ამ აზრს X.


როგორც ვხედავთ, აქ წყლის ლივლივის ფორმის ოთხი ხაზი გამოდის ცენტრიდან. ეგვიპტურ იეროგლიფებში (რომელიც, ჩემი აზრით, არის აღნიშნული პიქტოგრამების მემკვიდრე), ცენტრიდან გახაზულ ხაზებს რამდენიმე მნიშვნელობა ენიჭება, ერთ-ერთის მიხედვით, ამ ტიპის ფიგურა „თვლას“ ნიშნავს. იხ. ADOLF ERMAN².

წყლის ოთხი ხაზი, ვფიქრობ, მათს პლანეტაზე ოთხი ოკეანის არსებობის ნიშანია, ხოლო საპირისპიროდ იმისა, რომ წყალი დაგრეხილი ხაზით გამოხატეს, მიწა სწორი ხაზით შეიძლებოდა გამოეხატათ, რასაც მესამე ფიგურაში ვაწყდებით. აქ ცენტრიდან გამომავალი სამი ხაზია. ლოგიკურია ამ ფიგურის ნაცვლად კონტინენტების რაოდენობა ვიგულისხმოთ, ვინაიდან, პლანეტის დახასიათებისას, ოკეანეების რაოდენობის გვერდით, ყოველთვის კონტინენტების რაოდენობა სახელდება Y.

მაშ ასე, მათს პლანეტაზე არსებობს ყველა პირობა სიცოცხლისათვის. კერძოდ, პლანეტის შეჭყლეტილი პოლუსები და გაბერილი ეკვატორი მის ბრუნვაზე მიგვითითებს ცენტრალური ღერძის გარშემო, რაც „დღისა და ღამის“ არსებობას განაპირობებს. დახრილი ცენტრალური ღერძის მქონე პლანეტა, ვარსკვლავის გარშემო ბრუნვასთან ერთად, წელიწადის დროების არსებობას მიგვითითებს. პლანეტაზე წყლის არსებობა ატმოსფეროს არსებობას განაპირობებს, ყოველივე აღნიშნული კი ამ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას ადასტურებს.

Four lines of water should express the existence of four oceans in their planet and contrary to the “water” pictured by curved lines, the land could be depicted by a straight line as we see in the third figure. Here are presented three lines originated from the center. It is quite logic to think that those three lines show the number of three continents because for description of a planet next to the depiction of oceans should be the depiction of continents - Y

Therefore, on their planet there were all conditions for living. Namely, the flattened poles and bulging equator of the planet indicates revolution of this planet round its central axis and evidences existence of “day and night”. The planet having the inclined central axis along with the rotation round the star indicates the existence of the seasons of the year. The existence of water ensures existence of air on the planet and all this proves the existence of the life.



სურ. (Fig.) 14. პლანეტის ბრუნვის ღერძის სავარაუდო განლაგება
Assumed position of planet axis of rotation

ადამიანის ცოდნა პირობითია. დრო განაპირობებს და ცვლის ადამიანის ცოდნას. გარკვეული პერიოდის მანძილზე მეცნიერებაში გაბატონებული იყო ცოდნა იმის შესახებ, რომ მზის სისტემაში არსებობდა ექვსი პლანეტა. 1781 წელს დაფიქსირდა მე-7 პლანეტა (ურანი), 1846 წელს მიაკვლიეს მე-8 პლანეტას (ნეპტუნი), ხოლო 1930 წელს მზის სისტემის რიგით მე-9 პლანეტას — პლუტონს. გავიდა დრო, საინფორმაციო წყაროების მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ არსებობს მე-10 პლანეტა, რომელიც მზის სისტემას მიეკუთვნება. თუ გადავხედავთ შუმერების ცივილიზაციის მიერ დატოვებულ ინფორმაციებს, ამ პლანეტის არსებობა ცნობილი იყო რამდენიმე ათასი წლის წინათ.

აღნიშნულ პლანეტას შუმერები რიგით მე-10 პლანეტად თვლიდნენ (რადგან ისინი სათვალავში მზესა და მთვარესაც იღებდნენ), მათი ცოდნის მიხედვით — აღნიშნული პლანეტა დედამიწაზე ოთხჯერ უფრო დიდია, მზესთან სრულ შემობრუნებას კი 3600 წელს უნდება (სურ. 15).

როგორც ვხედავთ, ესა თუ ის დრო განაპირობებს ცოდნის შეძენას, დავიწყებასა და კვლავ აღდგენას. ფაქტია, მზის სისტემაში არსებული ჩვენთვის ცნობადი პლანეტათა რაოდენობა იზრდება (7,8,9...)

საოცარია სამყარო თავისი სიახლეებითა თუ დავიწყებული სიძველეებით, არავინ ვიცით, რას შემოგვთავაზებს იგი ხვალ...

ყოველ შემთხვევაში, გასაკვირი აღარ იქნება, თუ გამოჩნდება მეთერთმეტე ან მეთორმეტე პლანეტები ან სხვადასხვა ტიპის დღემდე უცნობი ციური სხეულები, რომლებიც პერიოდულად უახლოვდებიან და განემოშორებიან მზის სისტემას. საინტერესოა, საიდან ჰქონდათ შუმერებს იმაზე მეტი ცოდნა კოსმოსზე, ვიდრე ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს?.. ამ პროგრესის ის სახე, რა სახესაც დღევანდელი ადამიანი ავითარებს და მოიპოვებს ინფორმაციებს კოსმოსზე, შუმერებს ნამდვილად არ ჰქონდათ, სწორედ ეს მათებს დასმულ კითხვას სიმძაფრეს. მამ საიდან აქვთ შუმერებს აღნიშნული კოსმოსური ინფორმაციები?

The human knowledge is conditional. The time passes and changes the man's mind. Within some period the scientists considered that there were six planets in the Solar System. In 1781 was fixed the seventh planet (Uranus), in 1846 was discovered the 8th planet (Neptune), and in 1930 – the 9th planet of the solar system – Pluto. But the time has passed and now the cosmic agencies declare that they have fixed the tenth planet which is attributed to the Solar System. Based on the information left by the Schumer civilization, the existence of this planet was known some thousands years ago.

The Schumerians counted this planet as the twelfth (they also counted the Sun and the Moon). They thought that this planet was twofold larger than the Earth and had the elliptical orbit and it required 3600 years for it to turn round Sun (Fig. 15).

As we see this or that time provides acquiring, forgetting and restoration of the knowledge. It is the fact that the number of planets which had been discovered in the Solar System increased (7, 8, 9 ...).

The world with its new and forgotten old is full of wonders and nobody knows what it will give us tomorrow...

Anyway, we can expect the appearance of the 11th or 12th planets or of other celestial bodies still unknown for us which periodically come close and move away from the Solar System. It is interesting how the old Schumerians could know about the space more than the people living in the époque of the technical progress?.. The fact is that that kind of progress which is developed and by which a contemporary man searches information about the space was not familiar to the Schumerians. This makes the question mentioned above more acute. Where did the Schumerians get the information from?


In my opinion, such information may be obtained without the contemporary technical facilities in case this information is provided by any other. We think the Schumerians had got the true information about the space just in such a way. This idea is backed by the following fact: the Schumerians connected the approach of the tenth planet with the appearance of aliens on the Earth. The Schumerians described the visitors as follows: "Those who came to the Earth from the Heaven". The visit of inhabitants of other planet to the Earth had not passed in vain. In my opinion, the knowledge of the Schumerians and, in general, the deep knowledge of the ancient civilizations is one of the



მზე
Sun



მე-10 პლანეტა და მისი ელიფსური
ტრაექტორია / The 10th planet and its
elliptical trajectory



სურ. (Fig) 15 — შორსმავალი პლანეტის ორბიტა / The long -
distance planet orbit.

ჩემი აზრით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების საშუალება არსებობს, მაგალითად, თუ ამ ინფორმაციას „ვილაც სხვა გადმოცემს“. ვგონებ, სწორედ ასე მოიპოვეს კოსმოსის შესახებ უტყუარი ინფორმაცია შუმერებმა. ამ აზრს შემდეგი ფაქტი ამყარებს: შუმერები მეათე პლანეტის მოახლოებას უკავშირებდნენ უცხო არსებების გამოჩენას დედამიწაზე. სტუმრებს შუმერები ასე მოიხსენიებდნენ: „ისინი, ვინც ციდან ჩამოვიდნენ მიწაზე“. სხვა პლანეტის მკვიდრთა დედამიწაზე სტუმრობა არ ჩაივლიდა უკვალოდ. ჩემი აზრით, შუმერებისა და, საერთოდ, ძველი ცივილიზაციების ზედმინ-ევნიითი ცოდნა შორეულ კოსმოსზე სწორედ რომ ერთ-ერთი კვალია, რომელიც მათ დატოვეს დედამიწაზე. ეს ცოდნა არა მარტო ზეპირსიტყვიერებით გადასცეს „სტუმრებმა“ დედამიწის მკვიდრთ, არამედ დაუნერეს კიდევ „პიქტოგრამების“, „იდეოგრამების“, „ლოგოგრამების“, „იეროგლიფების“ სახით. იდეოგრაფიკული კითხვის წესებმა დღემდე არ მოაღწია. სწორედ ამ პრობლემის ამოხსნას ვცდილობთ ჩვენს ნაშრომში. წარმოდგენილი თავი ეძღვნება „სტუმრების“ მგზავრობის ტრაექტორიების სიმბოლოების ამოცნობას. „სტუმრების“ მიმოსვლის ტრაექტორიების ამოცნობაში დახმარებას გაგვიწევს პლანეტების გარშემო მბრუნავი თანამგზავრების ტრაექტორიების მონახაზის გარკვევა. ვიდრე თანამგზავრების ტრაექტორიებზე ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ მაგალითი მიწაზე. წარმოვიდგინოთ, თქვენ და თქვენი მეგობარი დგახართ ქვიშაზე. თქვენ დაიძარით და გარს შემოუარეთ ერთ ადგილზე მდგარ თქვენს მეგობარს. ამ შემთხვევაში ქვიშაზე დარჩება კვალი, რომელსაც წრის ფორმა ექნება. წარმოვიდგინოთ მეორე მაგალითი — თქვენმა მეგობარმა დაიწყო სიარული, თქვენ კი მას

consequences of the visit of aliens. The visitors not only transferred this knowledge to the earth dwellers but wrote it in the pictograms, ideograms, logograms, hieroglyphs.


The mankind still can not find out the rules of reading of the information made on the stones. We will try to solve this problem in our work. This Chapter is devoted to the explanation of symbols of trajectories of travel of the visitors. To reveal the problem of trajectories of arrival of the visitors we will use the outline of the trajectories of satellites rotating round the planets. Before discussing the spatial trajectories of satellites, let's consider the example on the earth. Let's imagine that you and your friend are standing on the sand. You start to move and pass round your friend standing on the spot. In this case on the sand will remain a track of a circular shape. Let's take another example when your friend starts to move and you follow him, or become his satellite and simultaneously your move round your friend. In this case the track left by you on the sand will be of spiral shape. Now, let's pass to the space. As the Earth permanently moves and the Moon moves round it, the latter's trajectory in the space is of the spiral shape. Accordingly, the trajectory of all those satellites which move round the moving planets is of spiral shape. We may assume that the visitors took the opportunity when the 10th planet (or any other remote celestial body which is unknown for today) came close to the Earth. The visitors could get the orbit of the 10th planet on their spacecraft whereby they became the artificial satellite of the planet. They could also land on the "moon" of the 10th planet, or on its natural satellite. The 10th planet should without fail have a satellite or satellites, or "moons" as well as other large planets (the total number of satellites of nine planets of the Solar System attains to seventy).


დაედევნეთ — დამგზავრეთ, ანუ გახდით მისი თანამგზავრი, ამავდროულად, თქვენ მოძრავეთ მეგობარს გარს უვლით. ამ შემთხვევაში ქვიშაზე თქვენ მიერ დატოვებული კვალი იქნება სპირალის ფორმისა. გადავინაცვლოთ კოსმოსში. ვინაიდან დედამიწა მუდმივად მოძრაობს, ხოლო მთვარე მას გარს უვლის, ამიტომ ამ უკანასკნელის, ანუ მთვარის, ტრაექტორია კოსმოსში სპირალის ფორმისაა. შესაბამისად, სპირალური ფორმისაა ყველა იმ თანამგზავრის ტრაექტორია, რომელიც გარს უვლის მოძრავ პლანეტას. დასაშვებად მიმაჩნია, რომ სტუმრებს ესარგებლათ მე-10 პლანეტის დედამიწასთან მოახლოებით (ან სხვა რომელიმე შორსმავალი ციური სხეულით, რომელიც უცნობია დღეისათვის). სტუმრებს შეეძლოთ თავიანთი ხომალდით გასულიყვნენ მე-10 პლანეტის ორბიტაზე, რის შედეგადაც ისინი გახდებოდნენ პლანეტის ხელოვნური თანამგზავრები. ასევე დასაშვებია, ისინი დამსხდარიყვნენ მე-10 პლანეტის „მთვარეზე“, ანუ მის ბუნებრივ თანამგზავრზე. მე-10 პლანეტას აუცილებლად ეყოლება თანამგზავრი ან თანამგზავრები, ანუ „მთვარეები“, ისევე როგორც სხვა, განსაკუთრებით დიდ პლანეტებს ჰყავთ (მზის სისტემის ცხრა პლანეტის თანამგზავრების ჯამი შვიდ ათეულს აღწევს).

სარგებელი ასეთი სახით შორეულ კოსმოსში მგზავრობისა უზარმაზარია. კერძოდ, მგზავრობისას მათ შეეძლოთ გამოერთოთ ძრავა, რითაც სანვავი დაიზოგებოდა. თანამგზავრზე დაჯდომა მეორე სარგებელსაც შეიცავს, კერძოდ, თუ სტუმრები კი არ დასხდებოდნენ თანამგზავრზე, არამედ დაეშვებოდნენ თავად მე-10 პლანეტაზე, ამ შემთხვევაში პლანეტიდან კვლავ ასაფრენად მათ კიდევ ერთი ძრავა დასჭირდებოდათ. თანამგზავრიდან აფრენა კი არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რადგან მათ მცირე მიზიდულობის ძალა გააჩნიათ. არის თუ არა სიცოცხლე თავად მე-10 პლანეტაზე? საეჭვოა, ვინაიდან იგი მზეს, ანუ სიცოცხლის ენერგიის უდიდეს წყაროს, ძალიან დიდი მანძილით შორდება, რის გამოც ცივი პლანეტა იქნება და ბუნებაში, შესაძლოა, მხოლოდ ვარსკვლავთაშორისო კომუნიკაციის საშუალებას — ერთგვარ „ციურ ექსპრესს“ წარმოადგენდეს.

დავხაზოთ მე-10 პლანეტისა და მისი თანამგზავრის ტრაექტორიები. ამოვხაზოთ თანამგზავრის სპირალური ტრაექტორია ორნაირად — გვერდხედშიც და შიგხედშიც; მე-

The visitors could take a great benefit from such kind of travel in the space. Namely, they could turn off their spacecraft engine and save fuel for further travel. The landing on the satellite has the second benefit as well, namely, if the visitors did not land on the satellite but take off the 10th planet they should need one more engine, while taking off the satellite does not require great power as its gravity is small. We wonder if there it is life on the 10th planet. It is hardly to imagine such thing as it is very long-distance from the Sun, the greatest source of energy of life, and should be a cold planet for this reason. May be it represented simply the interstar communication facility, a kind of “space express”.

Let’s draw the trajectories of the 10th planet and its satellite. We will outline the spiral trajectory of the satellite in two ways – from the side and from inside. On Fig. 16 we see the spiral drawn from the side is identical to the spiral drawn in the upper corner on the Mexican stone (Fig. 11). As to the inside drawing of the spiral it slightly differs from the inside drawing of the spiral in the center of the stone (Fig. 17b). The only difference is two additional spirals. What could they mean?.. Let’s imagine that in order to overcome the gravity the spacecraft leave the Earth with the circular movement and thus can overcome the gravity more easily. Let’s outline this path of the spacecraft — .

Let’s imagine that two expeditions visited the Earth and one of these expeditions was from the 5th star and the other – from another, say “X” star. The trajectory of taking off of the second expedition from the Earth will be of the same kind — .

After taking off the Earth the spacecrafts land on the satellite of the 10th planet and in such way they travel in the distant space. Let’s draw the trajectory of taking off the planet and the trajectory of the tenth planet satellite together (Fig. 17a). I deliberately divided the line in the large spiral into two because travel of two expeditions is possible to some certain stage and after some distance their journeys will diverge for travel to the own planet. The line created by us (Fig. 17a) is identical to the drawing of the spiral inside on the Mexican pictogram (Fig. 17b).

Let’s assume that the so called “Heaven Express”, or the 10th planet does not reach the 5th star... It will not be strange if the distant planets existed not only within our Solar System but in the systems of other stars. Let’s assume that one of the planets rotating round the 5th star represents one of such long-distance “express” as the 10th planet. Say, the





მზე
The Sun



მე-10 პლანეტა და მისი ელიფსური ტრაექტორია / The 10th planet and its elliptical trajectory



მე-10 პლანეტის თანამგზავრი და მისი სპირალური ტრაექტორია / The 10th planet satellite and its spiral trajectory



სპირალი გვერდხედში / The spiral from the side view



სპირალი შიგხედში / The spiral from inside

სურ. (Fig.) 16 — შორსმავალი პლანეტის თანამგზავრის ტრაექტორიის ნახაზები სხვადასხვა ხედიდან / drawings of trajectories of the long-distance planet satellite from various views

16-სურათზე გვერდხედში დახაზული სპირალი იდენტურია მექსიკის ქვაზე დახაზული სპირალისა (სურ. 11). რაც შეეხება ჩვენ მიერ დახაზული სპირალის შიგხედის ნახაზს, იგი ოდნავ განსხვავდება მექსიკის ქვის ცენტრში დახაზულ სპირალის შიგხედისგან (სურ. 17ბ). სხვაობა ორი დამატებითი სპირალია. რას შეიძლება აღნიშნავდნენ ისინი?.. წარმოვიდგინოთ, დედამიწიდან მე-10 პლანეტისკენ მალდება ხომალდი. ცნობილია, რომ დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევისთვის ხომალდი დედამიწას წრიული მოძრაობით ტოვებს, რათა უფრო ადვილად დაძლიოს გრავიტაციის ძალა. ჩავხაზოთ ხომალდის ეს გზა — 6.

წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწაზე სტუმრად ორი ექსპედიცია იყო, ერთი მე-5 ვარსკვლავიდან, მეორე — სხვა, ვთქვათ, რომელიმე X ვარსკვლავიდან.

მეორე ექსპედიციის დედამიწიდან აფრენის ტრაექტორია იმავე სახის იქნება — 6.

დედამიწიდან აფრენის შემდეგ, ხომალდები სხდებიან მე-10 პლანეტის თანამგზავრზე და ასე მიემგზავრებიან შორეულ კოსმოსში. ჩავხაზოთ პლანეტიდან აფრენისა და მეთათე პლანეტის თანამგზავრის ტრაექტორიები ერთად, სურ. 17ა. დიდ სპირალში განგებ დავტოვებ ხაზი ორად, ვინაიდან ორი ექსპედი-

trajectories of these so called long-distance planets cross each other and at the place of crossing the spacecraft from satellite of one planet moves to the satellite of another planet (Fig. 18). Let's draw the transfer of the spirals given on the picture to each other from inside (Fig. 19).

On Fig. 20 is presented the stone which is found in Georgia. The stone depicts the similar transfer of spirals into each other. The same kind of spirals is available on the stone found in the North Caucasus (Fig. 21).

In case of visit of two expeditions to our planet we would deal with the crossing of trajectories of three long-distance planets: first planet is the orbit of our long-distance 10th planet, the second — the orbit of the planet moving to the 5th star and the third — the orbit of the planet moving to the star X. Let's outline the orbits of the long-distance planets together with the orbits of satellites (Fig. 22). Let's draw these spirals from inside (Fig. 23). This drawing is similar to the drawing on the stone found in the North Caucasus (Fig. 24) where above of the spirals are carved four small images. On the first one two ellipses cross each other that is much like the crossing of elliptic trajectories of the long-distance planets drawn by us - 8

The second drawing can hardly be read, though

ციის მგზავრობა ერთად რაღაც ეტაპამდეა შესაძლებელი, გარკვეული მანძილის შემდეგ კი მათი გზები უნდა გაიყოს საკუთარ პლანეტებთან მისასვლელად. ჩვენ მიერ შექმნილი ნახაზი (სურ. 17 a) იდენტურია მექსიკურ პიქტოგრამაზე არსებული, სპირალის შიგნედის ნახაზისა (სურ. 17 b).

დავუშვათ, ე.წ. „ციური ექსპრესი“, ანუ მე-10 პლანეტა არ აღწევს მე-5 ვარსკვლავამდე... არ იქნება გასაკვირი, თუ შორსმავალი პლანეტები არსებობენ არა მარტო ჩვენს მზის სისტემაში, არამედ სხვა ვარსკვლავთა სისტემებშიც. დავუშვათ, მე-5 ვარსკვლავის გარშემო მბრუნავი პლანეტებიდან ერთ-ერთი ისეთსავე შორსმავალ პლანეტას წარმოადგენს, როგორიცაა ჩვენი მე-10 პლანეტა. ვთქვათ, ამ ორი, ე.წ. შორსმავალი პლანეტების ტრაექტორიები კვეთენ ერთმანეთს, ხოლო შეხვედრის ადგილას ხომალდი ერთი პლანეტის თანამგზავრიდან მეორე პლანეტის თანამგზავრზე გადაფრინდება (სურ. 18). დავხაზოთ სურათზე მოცემული სპირალების ერთმანეთში გადასვლა შიგნედიდან (სურ. 19).

მე-20 სურათზე წარმოდგენილია საქართველოში მდებარე ქვა, რომელზეც დახატულია სპირალების ანალოგიური გადასვლა ერთმანეთში. იმავე სახის სპირალები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვაზე (სურ. 21).


ჩვენს პლანეტაზე, ორი ექსპედიციის სტუმრობის შემთხვევაში, სამი შორსმავალი პლანეტის ტრაექტორიების გადაკვეთასთან გვექნებოდა საქმე; პირველი — ეს არის ჩვენი,



სურ. (Fig.) 17a — ექსპედიციების მგზავრობის ტრაექტორიები / Trajectories of expedition trip



სურ. (Fig.) 17 b — პიქტოგრამა მექსიკური ქვიდან (კივასი) / The pictogram on the Mexican stone (Kivas)



სურ. (Fig.) 18 — ორ ვარსკვლავთან არსებული შორსმავალ პლანეტებისა და მათი თანამგზავრების ტრაექტორიები Trajectories of long-distance planets existing near two stars and their satellites



მზე
The Sun



მე-5 ვარსკვლავი
The 5th star




პლანეტები
Planets



თანამგზავრები
Satellites



თანამგზავრიდან თანამგზავრზე გადასვლის სიმბოლო
The symbol of transfer from a satellite to a satellite




სურ. (Fig) 19; თანამგზავრების ტრაექტორიების შიგხედები / Inner views of Satellite trajectories




სურ. (Fig.) 20 — საქართველოში მდებარე პიქტოგრამა
Pictogram found in Georgia





სურ. (Fig) 21 — ჩრდილო კავკასიაში მდებარე პიქტოგრამა (ხასკალინსკი)
Pictogram found in the North Caucasus (Khaskalinsk)

შორსმავალი მე-10 პლანეტის ორბიტა. მეორე — იქნება მე-5 ვარსკვლავისკენ მიმავალი პლანეტის ორბიტა და მესამე — რომელიღაც x ვარსკვლავისკენ მიმავალი პლანეტის ორბიტა. ჩავხაზოთ შორსმავალი პლანეტების ორბიტები თანამგზავრების ორბიტებთან ერთად (სურ. 22), აღნიშნული სპირალები ჩავხაზოთ შიგხედიდან, (სურ. 23) ეს ნახაზი ანალოგიურია ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვაზე არსებული ნახატისა (სურ.24), რომელზეც სპირალების თავზე ოთხი პატარა ნახატია ამოკვეთილი. პირველზე ორი ელიფსი კვეთს ერთმანეთს, რაც ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ დახატული შორსმავალი პლანეტების ელიფსური ტრაექტორიების გადაკვეთას — .

მეორე ნახატი ძნელად გასარჩევია, თუმცა, არ არის გამორიცხული, ეს იყოს გამოსხივების (სითბოს, სინათლის, რადიაციის...) სიმბოლო, რომელსაც ჩვენც იმავენაირად ვხატავთ: ცენტრიდან გამოსული სამი ხაზი პერიფერიებისკენ ფართოვდება — .

სამწუხაროდ, მესამე ნიშანიც ცუდად მოჩანს ქვაზე. თუ ეს ელიფსებია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ეს სხვადასხვა ვარსკვლავთა სისტემიდან შორსმავალი პლანეტების ელიფსური ორბიტები იყოს, რომლებიც პერიოდულად უახლოვდებიან ერთმანეთს, რითაც სარგებლობენ სამყაროში არსებული ცოცხ-


we cannot exclude that this was the symbol of emanation (heat, light, radiation...) which we are drawing on the same way: three lines leaving the center are dilated to periphery — .

Unfortunately, the third sign is also hardly seen on the stone. If those are ellipses, we cannot exclude that it were the elliptic orbits of long-distance planets from the systems of various stars which periodically come close to each other whereby this phenomenon is used by the creatures existing in the space for establishment of contacts with each other. Noteworthy is that the data of the old manuscripts about the space mention existence of several worlds and the fact that the creatures living in these world communicate with each other. They also describe that those creatures are not immortal but live for a long time, some thousand years. In such case, as we think, for the visitors to the Earth, the expeditions to our planet were not so long – everything is comparative. On Fig. 24 the upper fourth symbol looks like the ruptures of an electromagnetic wave — .

Determination of exact meaning of all symbols of pictograms is the future problem. However, one thing is apparent: we face the interstar symbols. The Solar System, planet Earth, its civilization is one of the youngest in the space and we will try only now to become acquainted with the above mentioned questions.

- ☉ მზე
The Sun
- მე-5 ვარსკვლავი
The 5th star
- ⊗ X ვარსკვლავი
X Star
- პლანეტები
Planets
- თანამგზავრები
Satellites

↪ თანამგზავრიდან თანამგზავრზე გადასვლის ნიშანი
The sign of transfer from a satellite to a satellite



სურ. (Fig.) 22 — სამი შორსმავალი პლანეტის და მათი თანამგზავრების ტრაექტორიები / Trajectories of three long-distance planets and their satellites

ალი არსებანი, ერთმანეთთან კომუნიკაციის დასამყარებლად. მინდა აღვნიშნო შემდეგი: კოსმოსის თაობაზე ძველ ხელნაწერებში არსებულ ინფორმაციებში მითითებულია, რომ „არსებობს რამდენიმე სამყარო“ და რომ ამ სამყაროში მცხოვრები არსებები უკავშირდებიან ერთმანეთს. ასევე აღწერილია ის, რომ ეს არსებები არ არიან უკვდავები, მაგრამ ცხოვრობენ ხანგრძლივად, რამდენიმე ათას წელს. ასეთ შემთხვევაში დედამიწის სტუმრებისათვის, ჩვენი წარმოდგენით, ხანგრძლივი ექსპედიციები, არც თუ ისე ხანგრძლივი იქნებოდა. ყველაფერი შედარებითია... 24-ე სურათის ზედა, მეოთხე სიმბოლო, წააგავს ელექტრომაგნიტური ტალღის რხევებს —



სურ. (Fig.) 23 — თანამგზავრების ტრაექტორიების შიგნითა ნახევრები / Inner views of satellite trajectories



სურ. (Fig) 24 — ჩრდილო კავკასია, ხასკალინსკის საბრძოლო კოშკი. / Khankalinski turret, North Caucasus

პიქტოგრამებზე არსებული ყველა სიმბოლოს ზუსტი მნიშვნელობის დადგენა სამომავლო კვლევის საქმეა. თუმცა, ერთი რამ აშკარაა: ჩვენ წინაშე ვარსკვლავთაშორისო სიმბოლოებია. მზის სისტემა, პლანეტა დედამიწა, მისი ცივილიზაცია, კოსმოსში არსებულ სამყაროებს შორის არის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, რის გამოც ზემოთ აღნიშნულ

საკითხების გაცნობიერება ჩვენ ახლა გვიხდება.

წარმოგიდგენთ ჩრდილო კავკასიაში (ხასკალინსკი) მდებარე პიქტოგრამას, რომელზეც სპირალის გარშემო თეფშის ფორმის საფრენი ხომალდი გამოსახული (სურ. 25).









Below you can see the pictogram found in Khas-kalinsk (North Caucasus) where the flying vehicle of the plate shape is pictured above the spiral (Fig. 25).



სურ. (Fig.) 25 — ჩრდილო კავკასია, ხასკალინსკის საბრძოლო კოშკი. / Khaskalinsk turret, North Caucasus

ასევე სპირალური ფორმისაა ე. წ. ფესტოსის დისკო, რომელშიც თეფშის ფორმის საფრენი ხომალდი სპირალშია ჩახატული. გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც დედამიწის სტუმართა მიერ სხვადასხვა ქვეყანაში დატოვებული პიქტოგრამებია გამოსახული, მათ გვერდზე კი მიუთითებთ ნიშნებს ფესტოსის დისკოდან. ნიშანთა მსგავსება აშკარაა. (ცხრ. 1)









The so called Phaistos disc is also of spiral shape. On it the flying vehicle of plate shape is drawn inside the spiral. Below is given the table with pictograms left by the visitors to our Earth in various countries and their comparison with the figures on the Phaistos disc. The similarity is obvious. (Tab. 1)

სიმბოლოები ქვებზე SYMBOLS ON STONE	სიმბოლოები ფესტოსის დისკზე SYMBOLS ON PHAISTOS DISC
	
	
	
	

ცხრილი 1. / Table 1

მე-2 ცხრილში გთავაზობთ რამოდენიმე ეგვიპტურ იეროგლიფს და მათ მსგავს ფიგურებს ფესტოსის დისკოდან. როგორც ცნობილია ძველი ეგვიპტელები დამწერლობის მასწავლებლებს „ციდან მოსულ ღვთაებებს ეძახდნენ,, არ არის გამორიცხული რომ სწორედ ასე მოიხსენიებდნენ ეგვიპტელები დედამიწის სტუმრებს.

In Table 2 are presented several Egyptian hieroglyphs and similar figures from the Phaistos disc. As it is known, ancient Egyptians called their teachers of written language as the “deities who have come from the heaven”. We cannot exclude that the Egyptians called in such manner the visitors from other planets.

ეგვიპტური იეროგლიფები EGYPTIAN HIEROGLYPHS	სიმბოლოები ფესტოსის დისკოზე SYMBOLS ON PHAISTOS DISC
	
	
	
	

ცხრილი 2 / Table 2

როგორც ირკვევა ფესტოსის დისკოზე არსებული ფიგურების მსგავსი გამოსახულებები სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პიქტოგრამებსა თუ იეროგლიფებშიც გვხვდება. მსგავს ფიგურათა შორის არსებული მცირედი სხვაობების მიზეზად შეიძლება დასახელდეს ნაწერთა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით შესრულება. მაგალითად, ქვაზე ხდება ფიგურის ამოთლა რკინის ხელსაწყოთი, პაპირუსზე ფიგურები საღებავით იხატებოდა, ხოლო ფესტოსის დისკოზე არსებული გამოსახულებები წინასწარ გამზადებული ფიგურებით სველ თიხაზე დაბეჭდვით და შემდეგ თიხის დისკოს ღუმელში გამოწვით იქნა მიღებული. ჩემი აზრით ფესტოსის დისკოზე არსებული ფიგურები ერთი საერთო დამწერლობის ნაწილია, რომელსაც იდეოგრაფიკული ტიპის დამწერლობა ჰქვია, სადაც ათასობით ფიგურაა გაერთიანებული. დისკოზე კი ამ ნიშნებიდან გამოყენებული იქნა იმდენი ფიგურა რამდენიც გახდა აუცილებელი და საკმარისი აღნიშნული ინფორმაციის გადმოსაცემად. დისკოზე ასევე არსებობს ისეთი ფიგურებიც რომლებიც არ გვხვდებიან სხვაგან. ეს არის იდეოგრაფიკული დამწერლობისთვის ჩვეული მოვლენა. იდეოგრაფიკა არ არის ალფაბეტი, არ არის ასო-ბგერა, შესაბამისად იდეოგრაფიკულ ნიშანთა რაოდენობა არაა შეზღუდული-შემოფარგლული, არამედ თუ ინფორმაციის გადმოსაცემად გახდა საჭირო ახალი ფიგურის შემოტანა ის იქნა კიდევ დახატული და გამოყენებული. ახალი იდეოგრაფიკული ფიგურები დღესაც ჩნდება ჩვენს გარშემო (საგზაო ნიშ-


As we can see, the pictures similar to figures on the Phaistos disc may be met in the pictograms and hieroglyphs existing in many countries. Small differences in similar figures may be explained by various technical performances of those pictures. For example, the figures on the stone are cut with an iron tool, the figures on the papyrus are painted and the pictures on the Phaistos disc are at first embossed on the wet clay and then baked in the oven. In my opinion the figures existing on the Phaistos disc shall be a part of the universal written language of ideographical type where thousands figures are united. Those figures which were necessary and adequate for transfer of required information were used on the disc. The disc also contains those figures which are not observed in other inscriptions. This is an ordinary feature of the ideographic language as it has no alphabet, no sounds and letters, therefore the number of ideographic symbols is not limited and when transfer of information requires new figures the author introduces and draws those new ones. The ideographic figures are still used in our reality (the traffic signs, computers and so on) for transfer of new information and new figures still are generated and added to existed ones, thus increasing their total number. The ideography has no language barrier and can be considered as the most convenient written language for international (inter-civilization) communication.

Some words about the Phaistos disc: in 1908, in Greece, on the island Crete, in the ruins of Minos

ნებში, კომპიუტერებში და ა. შ...) ახალი ინფორმაციის გადმოცემის საჭიროებისთვის და ის ემატება ძველ ფიგურებს. რაც მათ რაოდენობას უზრალოდ ზრდის. ეს იდეოგრაფიკისთვის ჩვეული მოვლენაა. იდეოგრაფიკას არ გააჩნია ენობრივი ბარიერი, რის გამოც ის შეიძლება მივიჩნიოდ საერთაშორისო (ცივილიზაციათაშორისო) ურთიერთკავშირის ყველაზე მოხერხებულ დამწერლობის სახედ.

ორიოდე სიტყვით დისკოს შესახებ: 1908 წელს, საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, მინოსის სასახლის ნანგრევებში, იტალიელმა არქეოლოგმა, დოქტორმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა თიხის დისკო წარწერებით. 17 სანტიმეტრის დისკო 380 გრამს იწონის. იგი დაფარულია ორივე მხრიდან სპირალურად განლაგებული ფიგურებით, სპირალური ხაზი უჯრედებადაა დაყოფილი. წარწერა 241 ნიშნისგანაა შემდგარი, რაც 45 ფიგურის გამეორებითაა მიღებული. დისკოზე ასევე დატანილია რამდენიმე მიმანიშნებელი ხაზი და წერტილი. ჩემი აზრით, ფიგურად უნდა ჩაითვალოს თავად სპირალიც, რომელიც, რატომღაც, არ ფიგურირებს მეცნიერთა მიერ შედგენილ ცხრილებში (ცხრილი 3) დისკო დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წლით. ამჟამად იგი ინახება კუნძულ კრეტის ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში.

Palace of Phaistos, the Italian archeologist Dr. Luigi Pernier discovered the clay disc with inscriptions. The disc having 17 centimeters in diameter weighs 380 grams. On the both sides it is covered with the spirally placed figures. The spiral line is divided with cells. The inscription contains 241 signs made with the repeated 45 figures. The disc also contains some indicating lines and points. In my opinion, the spiral shall be also taken as a figure though it is not put in the tables compiled by the scientists (Table 3). The disc is dated back to 1850-1600 B.C. Now the disc is displayed at the archeological museum of Heraclion.



ცხრილი 3. ფესტოსის დისკოზე გამოსახული სიმბოლოები.

Table 3. Symbols imaged on the Phaistos disc


ფესტოსის დისკო — გზავნილი გალაქტიკიდან

სურათებზე (26 — a.b.c.d.) წარმოდგენილია მეხუთე ვარსკვლავიდან ჩვენკენ მომავალი შორსმავალი პლანეტა თავის თანამგზავრებთანად, სხვადასხვა ხედით.


PHAISTOS DISC — THE MESSAGE FROM THE GALAXY

On Fig. 26 (a, b, c, d) is shown the long-distance planet with its satellites going to us from the fifth star, from different views.


The spiral line shows the trajectory of one satellite. According to our theory, the expeditions should




a



b



c



d


სურ. (Fig) 26 a.b.c.d. — შორსმავალი პლანეტის კოსმოსში გადაადგილების მოდელირება / Modeling of movement of the long-distance planet in the space

სპირალური ხაზით ნაჩვენებია ერთ-ერთი თანამგზავრის ტრაექტორია. ჩვენი თეორიის მიხედვით, ექსპედიციას ბაზები აქვს სწორედ თანამგზავრებზე. სურათზე 26 d. შევიტანოთ მცირე კორექტივები: კერძოდ, სპირალის ცენტრში განვათავსოთ ჩვენი სტუმრების მგზავრობის დასაწყისი — მათი ვარსკვლავი, სპი-

have the bases on the satellites. We have made small correctives on Fig. 26 d, namely: in the spiral center we have placed the start point of trip of our visitors – their star; on the spiral way we have placed the signs indicating the direction of the movement and at the end of the spiral – the long-distance planet and expedition member with five points in front of him as the indicator of the five-star distance be-

რალურ გზაზე მოძრაობის მიმართულების ამ-
სახველი ნიშნები განვალაგოთ, ხოლო სპირა-
ლის ბოლოში — შორსმავალი პლანეტა და
ექსპედიციის წევრი. მის წინ ხუთი წერტილი
— ნიშნად ჩვენ შორის ხუთვარსკვლავიანი
დაშორებისა. მივიღებთ 27-ე სურათს.

ამრიგად, უკვე დავიწყეთ ე.წ. ფესტოსის
დისკოს გაშიფვრა. შევადაროთ სტუმართა
მგზავრობის აღმწერი 27-ე სურათი და ფეს-
ტოსის დისკოს A გვერდი (სურ. №28). სადაც
27-ე სურათის ანალოგიურად ცენტრში მზეა,
სპირალურ გზაზე — მიმართულების ნიშნე-
ბი, ხოლო მგზავრობის ბოლო ეტაპზე (უჯრა
31-ე) — შორსმავალი პლანეტა, ექსპედიციის
წევრი და ხუთი წერტილია განლაგებული.



სურ. (Fig.) 27— ექსპედიციის მარშრუტის მონახაზი
The outline of expedition route



სურ. (Fig.) 28 — ფესტოსის დისკოს A გვერდის გრაფიკული გამოსახულება, ჩვენს მიერ მინიჭებული
ნუმერაციით. / The graphical image of Side A of the Phaistos disc with the numbering of cells made by us.

ჩემი აზრით, დისკოზე აღწერილია ექსპედიციის მგზავრობა, რომელსაც სპირალური ტრაექტორია აქვს და ამ მგზავრობის ამსახველი ცალკეული ეპიზოდები ტიხრებითაა დაყოფილი. ზოგადად დავახასიათოთ დისკოზე მოცემული გრაფიკული სურათი.

1 — დისკოზე წარმოდგენილია იდეოგრაფიკული ტიპის დამწერლობა, შესაბამისად, გაშიფვრა ხდება იდეოგრაფიკული წესით.

2 — დისკო იშიფრება ცენტრიდან პერიფერიისკენ, ამ აზრის მართებულობას შემდეგი არგუმენტი ამყარებს:

დისკოზე წარმოდგენილი ორ ასეულზე მეტი ფიგურა სახით მიმართულია და მოძრაობს ცენტრიდან პერიფერიისკენ. მათ შორის ისეთი ფიგურაცაა, რომელსაც დღესაც მიმართულების ნიშნად მივიჩნევთ (>) და ისიც, რა თქმა უნდა, ცენტრიდან პერიფერიისკენაა მიმართული. მოძრაობის ამსახველი უამრავი ფიგურიდან მხოლოდ ერთი შემთხვევაა: საპირისპირო მიმართულებით “მფრინავი ჩიტი”, რომელზეც ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ და ვნახავთ, რომ მისი გეზი არ ცვლის კითხვის მიმართულებას და განპირობებულია მეტად საჭირო აუცილებლობით.

ფიგურების უმეტესობის ცენტრიდან პერიფერიისკენ განლაგება ჩემთვის სავსებით საკმარისი არგუმენტია, რათა დისკო გავშიფროთ ცენტრიდან პერიფერიისაკენ. არიან მეცნიერები, რომლებიც კითხვის საპირისპირო მიმართულებას ემხრობიან. ამის გამო კითხვის მიმართულების საკითხს ცალკე თავი დავუთმე, სათაურით — “კითხვის მიმართულება”, რომელსაც წიგნის ბოლოს იხილავთ.

ფესტოსის დისკოს A გვერდის იდეოგრაფიკული გაშიფვრა. ექსპედიციის მგზავრობის აღწერილობა მათი ვარსკვლავიდან დედამიწამდე.

პირველი უჯრა — სპირალის ცენტრი.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — ექსპედიციის მშობლიური ვარსკვლავი — ექსპედიციის საწყისი.

II ფიგურა — სახე, ლოყაზე ჩამოცურებული ცრემლით — სიმბოლური მნიშვნელობით „განშორება“.

III ფიგურა — მზის საათი (გადატრიალებულ მდგომარეობაში) — სიმბოლუ-

tween us. By this way we have obtained Fig. 27.

So, we begin the deciphering of the so called Phaistos disc. Let's compare the picture describing the trip of our visitors and Side A of the Phaistos disc (Fig. 28) where we see, similar to Fig. 27, the sun in the center, direction signs on the spiral way and at the final stage of the trip (Cell 31) – the long-distance planet, expedition member and five points.

In my opinion, the disc presents the trip of expedition with the spiral trajectory and some episodes of this trip separated with closures. Let's describe in general the graphical picture given on the disc.

1 — The disc produces the script of ideographical type and, consequently, it shall be deciphered by ideographical method.

2 — The disc is deciphered from the center to the periphery. This idea is based on the following arguments: More than two hundred figures pictured on the disc are turning and moving from the center to the periphery. Between them we see such figures which indicate the direction at present as well (>) and this figure is directed from the center to the periphery. Out of many figures indicating the movement only one figure of “a flying bird” has the opposite direction. We will discuss this figure separately and will see that its direction does not change the direction of reading and is conditioned by special necessity.

The location of the majority of figures from the center to the periphery is quite a sufficient argument for me to decipher the disc from the center to the periphery. Some scientists are basing their reading of the Phaistos disc from the periphery to the center. For this reason I devoted a separate chapter to the direction of reading named “The Direction of Reading” which is placed at the end of the book.

IDEOGRAPHICAL DECIPHERING OF SIDE A OF THE PHAISTOS DISC. Description of expedition trip from their star to the Earth.

First cell – the spiral center:

Graphical and symbolic meaning of figures:

Figure 1 – the home star of the expedition – the start of expedition

Figure 2 – the face with a tear on the cheek – the symbolic meaning of “parting”

Figure 3 – the sundial (in turned over position) with the symbolic meaning of “temporary”

Idea – the temporary parting



რი მნიშვნელობით — „დროებითი“.

იდეა — დროებითი განშორება

განმარტება — ექსპედიციის დასაწყისში ხშირია ახლობლებთან განშორებით გამონ-ვეული ცრემლი. რატომ „დროე-ბითი განშორება“?

გადმოვატრიალოთ მზის საათი, სურ.29.

ძველ დროში ადამიანები ამ ხელსაწყოთი დროის სვლას ადევ-ნებდნენ თვალს: ჯოხიდან დაცე-მული ჩრდილი დაფაზე დატა-ნილ ხაზებზე მოძრაობდა, რაც დროის ამა თუ იმ მონაკვეთზე მიუთითებდა. რატომაა ეს ხელ-საწყო დისკოზე გადატრიალე-ბულ მდგომარეობაში?

ჩემი მეგობარი, ზურაბ წიტიშვილი, მეზღ-ვაურია, მას ხშირად უწევს შორეულ ზღვაოს-ნობაში გამგზავრება. როდესაც მის შვილს, დათოს, ვურეკავ, ის მპასუხობს: „მამა 4 თვე-ში ჩამოვა“. შემდეგ ზარზე დათო მპასუხობს: „მამა 3 თვეში ჩამოვა“. შემდეგზე — „მამა 2 თვეში ჩამოვა“ და ასე ხდება დროის უკუთ-ვლა, ვინაიდან ექსპედიცია განსაზღვრულია დროში. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ დახ-ატეს დროის მიმანიშნებელი კონსტრუქცია უკუ — ღმა, რათა დროის უკუ — თვლა, ანუ „დროებითი განშორების“ იდეა გადმოეცათ ნახატში. მათი ექსპედიცია, იყო ხანგრძლივი, მაგრამ მაინც დროით განსაზღვრული, ხოლო ამ დროის განმსაზღვრელია შორსმავალი პლან-ეტის სვლის განრიგი, რომელიც ერთსა და იმავე დროში მოძრაობს თავის მარშრუტზე.

მეორე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმ-ბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — მოსიარულე ადამი-ანი. სიმბოლური მნიშვნელობით — „სვლა“, „გადაადგილება“, „მგზავ-რობა“.

II ფიგურა — გალაქტიკის სეგმენტი. სიმ-ბოლური მნიშვნელობით — „გალაქტიკა“, „კოსმოსი“.

იდეა — „სვლა კოსმოსში“.

განმარტება: განვიხილოთ მზისა და გალაქ-ტიკის ცენტრის შემაერთებელი სეგმენტი. მას-ში პირობითად განვაღებთ ვარსკვლავები. გალაქტიკის ცენტრში, სადაც, როგორც ცნო-ბილია, არის შავი ხვრელი, რომლის გარშემოც ბრუნავენ ვარსკვლავები, დავხატოთ შავი ხვრელის აღმნიშვნელი რგოლი, ნიშნად წრისა, რის გარშემოც ბრუნავს ვარსკვლავები. 30-ე a,b სურათებზე წარმოდგენილია გალაქტიკის



სურ. (Fig) 29 — მზის საათი / The sundial

Interpretation: at the beginning of the expedition tears caused by the parting with dearest and near-est is quite often. Why “temporary parting”?

Let’s turn the sundial over (Fig. 29).

In ancient times people used to fol- low this tool which showed them the time: the shadow falling from the stick moved on the lines put on the plate and show this or that pe- riod of time. Why this tool is shown on the disc in the turned over po- sition?

My friend Zurab Tsitaishvili is a sail- or and he often goes to the deep sea. When I am calling to his son Dato he answers me: “Father will

be back in 4 months”, then “Father will be back in 3 months”, thereafter – “Father will be back in 2 months”. So he counts down the months and time because the expedition is limited in time. In my opinion, the sign indicating the time was drawn in the turned over position in order to show the countdown, i.e. “temporary parting”. Their expedi- tion was long but still limited in time and the in- dicator of this time is the movement of the long- distance planet which moves along its route in one and the same time.



Second cell.

The graphical and symbolic meanings of figures:


Figure 1 – the walking man with the symbolic meaning “walk”, “movement”, “trip”.

Figure 2 – the segment of Galaxy with the symbolic meaning “Galaxy”, “space”.

Idea – movement in the space.


Interpretation: let’s view the segment connect- ing the sun and center of Galaxy and conditionally place stars in it. In the center of the Galaxy where as it is known is located the collapsar round which the stars are turning, we will draw the circle indicat- ing the collapsar. On Fig. 30 (a, b) is presented the segment of the Galaxy. By this way we will get the pictogram shown in the mentioned cell.

სეგმენტი. მივიღეთ პიქტოგრამა, რომელიც დატანილია აღნიშნულ უჯრაში.



სურ. (Fig.) 30 a; b.

a. გალაქტიკა ზედხედში მასზე დატანილი სეგმენტით / a. The Galaxy top view with segments put on it.



b. გალაქტიკა გვერდხედში მასზე დატანილი სეგმენტით / b. The Galaxy side view

მესამე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — შორსმავალი პლანეტის თანამგზავრზე (მთვარეზე) მდებარე ექსპედიციის საცხოვრებელი ბაზის გეგმა. სიმბოლური მნიშვნელობით — „ბაზა“ (სურ.31)

II ფიგურა — მცენარე სელი. სიმბოლური მნიშვნელობით — „სასიცოცხლო ენერგიით შემოსვა“.

III ფიგურა — დაუკონკრეტებელი მცენარის ხის ტოტი. წინა პლანზე წამოწეული ფოთლებით. ფოთოლი შთანთქმავს ნახშირორჟანგს და ბუნებრივად იძლევა ჟანგბადს. სიმბოლური მნიშვნელობა — ზოგადად „მცენარე“, როგორც „სიცოცხლის აუცილებელი წყარო“.

IV და V ფიგურები — ცხოველის ტყავი (გადაყირავებულ მდგომარეობაში). ტყავი წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო გარსს. ვინაიდან ამ უჯრაში წარმოდგენილია ტყავი გადაყირავებულ მდგომარეობაში, ამიტომ ვანიჭებთ მას „სასიცოცხლო გარსის“ საპირისპირო სიმბოლურ მნიშვნელობას — „სასიცოცხლო გარსის არარსებობა“

VI ფიგურა — წრე, შიგნით არსებული წერტილებით. სიმბოლური მნიშვნელობა — „შორსმავალი პლანეტა“.

VII ფიგურა — თავი მამლისებური ქოჩრით. სიმბოლური მნიშვნელობით — „ექსპედიციის წევრი“ — „ვარსკვლავთაშორისი ექსპედიცი-



Third cell.

The graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the layout of the dwelling unit of the base located on the satellite (moon) of the long-distance planet with the symbolic meaning – “Base” (Fig. 31).

Figure 2 – flax plant with the symbolic meaning “Filling with vital energy”

Figure 3 – the branch of undefined tree with leaves put on the front. The leaf absorbs carbon and isolates oxygen. The symbolic meaning is generally “plant” as the “source of life”.

Figures 4 and 5 – animal skin (in the inverted position). The skin represents the vital envelope of a living organism. As the skin is represented in this cell in inverted position, we give to it the opposite symbolic meaning to the “vital envelope”, that is “absence of vital envelope”.

Figure 6 – the circle with points inside with the symbolic meaning “long-distance planet”

Figure 7 – the head with the crest-shape forelock with the symbolic meaning “expedition member”, “head of the interstar expedition – the leader”, the symbol of expedition”.

Idea – absence of life sustenance conditions for expedition on the long-distance planet and neces-

ის ხელმძღვანელი — წინამძღოლი“, „სიმბოლო ექსპედიციისა“.

იდეა — „შორსმავალ პლანეტაზე ექსპედიციისთვის საჭირო სასიცოცხლო პირობები არ არსებობს, რის გამოც საჭირო გახდა ბაზის სასიცოცხლო ენერგიით შემოსვა — აღჭურვა“.

განმარტება: შენობის წარმოდგენილ გეგმაში აშკარად იკვეთება ბაზის ცენტრალური სივრცე, სადაც შეიძლება განლაგდეს ბაზის ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერატორო, ხოლო ფლანგებზე ცალ-ცალკე ოთახები ექსპედიციის წევრებისთვის, ლაბორატორიებისთვის და ა.შ. ექსტრემალურ სიტუაციაში (სხვადასხვა სახის დაზიანება...). ოთახების ასეთი განლაგება მათი ერთმანეთისგან იზოლირების საშუალებას იძლევა.


დავახასიათოთ მე-2 ფიგურა: ჩვენ წინაშეა ერთღეროიანი მცენარე, რომელიც მარაოსებურად არის დატოტილი მხოლოდ წვეროში, თავად ღერზე კი მონაცვლეობით აქვს პატარა ფოთლები. მსგავსი მცენარე ჩვენთვის ცნობილია სელის სახელწოდებით. სურ. 32. მემცენარეობის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: სელი — Linum, ერთერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო მცენარეა. ამ კულტურას იცნობდნენ ინდოეთში, ჩინეთში, ეგვიპტესა და ამიერკავკასიაში 4-5 ათასი წლის წინათ. სელი იძლევა ორი სახის ნედლეულს — სართავ ბოჭკოსა და თესლს. სელის ბოჭკო ერთ-ერთი საუკეთესო ნედლეულია საფეიქრო მრეწველობისთვის. მისი ბოჭკოსგან მზადდება როგორც ძვირფასი, ნაზი ქსოვილები, მაგ: ბატისტი, ისე სხვადასხვა სახის ტილო. აღნიშნული ნედლეულისგან საბოლოო ჯამში „სამოსი“ იქმნება.

სელის კულტურის მეორე მნიშვნელოვანი პროდუქტია თესლი, რომლისგანაც მცენარეულ ზეთს, ანუ „ცოცხალი ორგანიზმის ენერგეტიკულ წყაროს“ იღებენ. სწორედ ამ მახასიათებლების გამო მივანიჭეთ წარმოდგენილ სიმბოლოს (მესამე ფიგურასთან ერთად): „სასიცოცხლო ენერგიით შემოსვის“ მნიშვნელობა.

ბაზის სასიცოცხლო ენერგიით შემოსვა აუცილებელია, რათა ხელოვნურად შეიქმნას სასიცოცხლო პირობები ბაზის შიგნით. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ორგანიზმის (2 ტყავი) გვატყობინებენ, რომ მათს სამგზავრო ციურ სხეულზე არ არსებობს სიცოცხლისთვის აუცილებელი გარსი (არ არის ჟანგბადი, სათანადო ტემპერატურა და ა. შ.).



სურ. (Fig) 31.



სურ. (fig.) 32.

sity to fill-equip the base with the vital energy.

Interpretation: In the presented building layout stand out the central space of the base where the operator's room necessary for the operation of the base could be placed, and at the sides of the building – separate rooms for expedition members, laboratories and so on. In case of emergency (damage etc.) such placement of the rooms enables to isolate them from each other.

Let's have a look at figure 2: here we see the one-stem plant which is crotched diadromously at the top only and has small leaves on the stem (Fig. 32). This plant is flax, one of the ancient agricultural plants.³ This culture was known in India,

China, Egypt and South Caucasus 4-5 thousand years ago. Flax provides two products – flax

fiber and seeds. The flax fiber

is one of the best bases for the textile industry.

The flax fiber is used for weaving fine fabrics, e.g. cambric, and linen. As a result from this raw material is produced the “clothes”.

The second important product of the flax is seeds from which is produced the vegetable oil, or “source of energy for a living organism”. For this features we have given to the presented symbol (together with the figure 3) the meaning of “filling of vital energy”.

The base should be fed with the vital energy in order to create artificially the living conditions inside it. This is very important because it notifies us in two ways (2 skins) their transporting celestial body is lacking the environment required for living (is lacking oxygen, necessary temperature and so on).

In next cells we will see the same skin figure with the neck part above, or in the right position. We have given to that figure the meaning of “existence of the living environment”. In this cell the skin is presented in the inverted position, so, accordingly, we have given to it the opposite meaning of “absence of vital envelope”.

The figure of a man with the cock's comb on the head is met in other pictograms as well, both in Egypt and in Greece. The scientists inform:⁴ “The analogue of this sign

შემდგომ უჯრებში ჩვენ შეგვხვდება იმავე ტყავის ფიგურა კისრის ნაწილით ზემოთ, ანუ სწორ მდგომარეობაში, სადაც ჩვენ მას სიმბოლურად „სასიცოცხლო გარსის არსებობის“ მნიშვნელობას მივანიჭებთ. განხილულ უჯრაში კი ტყავი საპირისპირო განლაგებითაა წარმოდგენილი, შესაბამისად, მას ვანიჭებთ „სასიცოცხლო გარსის არსებობის“ საპირისპირო — საწინააღმდეგო მნიშვნელობას, ანუ „სასიცოცხლო გარსის არარსებობას“.

მამლისქოჩრიანი თავის ფიგურა სხვა უძველეს პიქტოგრამებშიც გვხვდება, როგორც ეგვიპტეში, ასევე საბერძნეთში. მეცნიერები გვატყობინებენ⁴: „ამ ნიშნის ანალოგი აღმოჩენილ იქნა კრეტის აღმოსავლეთით. მთებში არქეოლოგიური გათხრისას იპოვეს ასეთივე ფორმის თიხის თავები. ამას გარდა, ორ მინოსურ ბეჭედზე დატანილია ფანტასტიკური იერის, ნახევრად ადამიანისა და ნახევრად ცხოველების გამოსახულება თმის იმავე ტიპის ვარცხნილობით, რომლებსაც მზის კულტს უკავშირებენ“.

დამეთანხმებით, ალბათ, მეცნიერების მიერ ამ ფიგურის ვარსკვლავის კულტთან გაიგივება ჩვენ მიერ მიღებული შინაარსის სისწორეს უსვამს ხაზს. ვინაიდან, ჩვენც ვარსკვლავთმორისო ექსპედიციის წევრის (სიმბოლურ) მნიშვნელობას ვანიჭებთ აღნიშნულ ფიგურას.

შორსმავალი პლანეტა ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა დისკოზე, ვინაიდან ის არის ერთადერთი საშუალება ვარსკვლავთმორისო კავშირებისა. ის საშუალებაა, ხოლო ექსპედიციის ხელმძღვანელი, ექსპედიციის სიმბოლო — მამლისქოჩრიანი სახე კი არის ის, ვინც გამოიყენა ეს საშუალება. ამიტომ ლოგიკურია ამ ორი ყველაზე მთავარი ფიგურის არსებობა დისკოზე ყველაზე ხშირად. ისინი, როგორც წამყვანი ფიგურები, წინ მიუძღვებიან უჯრებს საბოლოო მიზნის მისაღწევად.

მეოთხე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — ვარსკვლავი.

II ფიგურა — ცრემლიანი სახე — სიმბოლური მნიშვნელობით — „განშორება“.

III ფიგურა — მზის საათი.

იდეა: მზის სისტემასთან დროებითი განშორება.

განმარტება: მგზავრობის ამ ეტაპზე შორსმავალი პლანეტა ექსპედიციასთან ერთად გასცდა მათს ვარსკვლავს, ანუ მათს მზის სისტემას.



Fourth cell.

Graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the star

Figure 2 – face with tear with the symbolic meaning “parting”

Figure 3 – sundial

Idea: temporary parting with the solar system

Interpretation: at this stage of the trip the long-distance planet with the expedition passed their star, or their solar system.



მეხუთე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — მცენარე, ფესვზე მინიშნების ხაზით.

II ფიგურა — გრძელ ხაზთან მოკლე ხაზის შეერთება. სიმბოლური მნიშვნელობით „შერწყმა“, „შეერთება“ (ერთის — მეორესთან, ახლის — არსებულთან), ან პირიქით — „გამოყოფა“ (კონტექსტიდან გამომდინარე)

III ფიგურა — ბაზის გვერდხედი მისასვლელი კორიდორით.

იდეა: მცენარეთა დათესვა — შერწყმა ბაზაზე სპეციალიზირებულ ოთახში.

განმარტება: ექსპედიციამ თავისი პლანეტიდან წამოიღო მცენარეები დასათესად. ის უნდა შერწყმოდა ახალ ადგილსამყოფელს ბაზაზე. ამ უჯრაში გრძელი კორიდორის ბოლოს მოცემულია ბაზის მცირე კონტური კორიდორთან არსებული დახურული ხაზით — კარით.

გრძელი დერეფნის წარმოჩენა ააშკარავებს, რომ ამ შემთხვევაში მინისქვეშა ბაზაზეა საუბარი, სურ. 33. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მათ ჰქონდეთ როგორც მინისქვეშა, ასევე მინისზედა ბაზები.

ვიდრე მეექვსე და მეშვიდე უჯრებზე გადავიდოდეთ, წარმოვიდგინოთ ექსპედიციის მგზავრობის სურათი, ჩვენს მომავალი გზის შესაძლო მარშრუტი. (სურ. 34.)

ექსპედიციის ასეთი მარშრუტის შემთხვევაში, გარკვეულ მანძილს ისინი მგზავრობენ თავის ვარსკვლავთან მოძრავი შორსმავალი პლანეტით, ხოლო შემდეგ გადადიან და მგზავრობენ სხვა შორსმავალ პლანეტასთან ერთად, იმ პლანეტასთან, რომელიც, ჩვენს მზესთან მოიყვანს მათ. მეექვსე და მეშვიდე უჯრები სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან ეპიზოდებს აღწერს.

მექვსე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — მოსიარულე ადამიანი. სიმბოლური მნიშვნელობით — „სვლა“, „გადაადგილება“.

II ფიგურა — კოსმოსის სეგმენტი.

III ფიგურა — შორსმავალი პლანეტა.

IV ფიგურა — ექსპედიციის სიმბოლო.

იდეა: შორსმავალი პლანეტის საშუალებით



Fifth cell.

Graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the plant with the indication of a root.

Figure 2 – the short line connected to the long line with the symbolic meaning “merger”, “connection” (one to the other, the new to the existing one), or vice versa – “separation” (according to the context).


Figure 3 – the side view of the base with the access corridor.

Idea: sowing – merging at the specialized room at the base.

Interpretation: The expedition took plants for sowing from their planet. They should be rooted at a new dwelling base. In this cell at the end of the long corridor is given the small contour of the base with the closed line at the corridor – the door.


The long corridor shows that in this case we can speak about the underground base (Fig. 33). It cannot be excluded that they had both the underground and ground bases.

Before we will turn to the sixth and seventh cells let's imagine the picture of the trip of expedition, their possible route to the Earth.



სურ. (fig.) 33 — მინისქვეშა ბაზა / The underground base

In case of such route of the expedition, they should pass a certain distance by the long-distance planet moving at their star and they shall transfer and travel together with another long-distance planet, with that planet which would take them to our sun. The sixth and seventh cells describe those important episodes.



Sixth cell

Graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the walking man, the symbolic meaning – “move”, “travel”


Figure 2 – the space segment

Figure 3 – the long-distance planet

Figure 4 – the expedition symbol.

Idea: To travel to the space by the long-distance planet

სურ. (fig.) 34. — ექსპედიციის მგზავრობის შესაძლო მარშრუტი / Possible route of the trip of the expedition



ბით, ექსპედიციის სვლა კოსმოსში.

განმარტება: თითქოს ახალი არაფერია ამ წინადადებაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც შემდეგ უჯრაში ხდება, ნათელია: წერილის შემდგენელი ცდილობს ჩვენი ყურადღების გადატანას მგზავრობის მარშრუტზე.

Interpretation: as it is nothing new in this sentence but in consideration of the meaning of the next cells it is obvious that the message-maker tries to attach our attention to the travel route.

მეშვიდე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — პლანეტა.

II ფიგურა — რქა. არსებობენ ცხოველები, რომლებიც იცვლიან რქას, რის გამოც წარმოდგენილ ფიგურას მივანიჭეთ სიმბოლური მნიშვნელობა — „შეცვლა“.

III ფიგურა — მტაცებელი ფრინველი ფრენისას. კლანჭებში უჭირავს ნადავლი, შედეგად ნადავლი იძულებულია გახდეს თანამგზავრი. ნადავლის მგზავრობა დამოკიდებულია მასზე დიდ წარმართველ ძალაზე. ფიგურას ვანიჭებთ „თანამგზავრის“ სიმბოლურ მნიშვნელობას.

იდეა: პლანეტისა და თანამგზავრის შეცვლა.

განმარტება: მეტად მნიშვნელოვანია ჯგუფში ფიგურების სწორედ ამ წყობით განლაგება. ამით ხაზი გაესვა, რომ ექსპედიციამ შორსმავალი პლანეტა გამოიცვალა მეორე



Seventh cell

Graphical and symbolic meaning of figures:

Figure 1 – the planet

Figure 2 – the horn. There are animals which are changing their horns, so we can give to this figure the symbolic meaning “change”.

Figure 3 – the in-flight predator bird, which has the prey in its claws. As a result the prey becomes a satellite. The trip of prey depends on the governing force which is larger than it. We give to this figure the symbolic meaning of the “satellite”.

Idea: Change of planet and satellite.

Interpretation: Such kind of location of figures in the group is very important. By this they underline that the expedition changed the long-distance planet to the second planet. Of course, this process is accompanied with the change of the satellite (the moon) as it is given on Fig. 34.

პლანეტით. რა თქმა უნდა, ამას თან ერთვის თანამგზავრის (მთვარის) შეცვლა, როგორც ეს 34-ე სურათზეა მოცემული.

რა მოხდებოდა ფიგურათა განლაგება სხვაგვარი რომ ყოფილიყო? წარმოიდგინეთ შემდეგი წყობა: I პლანეტა; II თანამგზავრი; III შეცვლა.

ასეთ შემთხვევაში ფიგურათა ეს განლაგება ჩვენზე მცდარ შთაბეჭდილებას დატოვებდა, რადგან შეიძლება წაგვეკითხა ასე: “პლანეტის თანამგზავრის შეცვლა”, როგორც ვიცით, დიდ პლანეტებს რამდენიმე თანამგზავრი (მთვარე) ჰყავს. ამიტომ მიღებული ტექსტი დატოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ექსპედიციამ პლანეტა კი არ გამოიცვალა, არამედ იმავე პლანეტის ერთი თანამგზავრიდან მეორეზე გადაფრინდა. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფიგურები ისეა განლაგებული, რომ განლაგება ზუსტად აღწერს ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას — ექსპედიციამ ერთი შორსმავალი პლანეტა ჩვენკენ მომავალი პლანეტით შეცვალა. შესაბამისად, შეცვალა თანამგზავრიც, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ექსპედიციას ჩვენკენ მომავალ ციურ სხეულებზეც ექნებოდა ბაზები.

ჩვენ ვისაუბრეთ დისკოზე არსებულ ციურ სხეულებზე, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია უფრო ღრმად გავაანალიზოთ, თუ რატომ მიიღეს ციურმა სხეულებმა სწორედ ასეთი გრაფიკული გამოსახულებები. სიმბოლურ — იდეოგრაფიკულ დამწერლობას აქვს როგორც თავისი დადებითი მხარეები, ასევე პრობლემატური მახასიათებლებიც. მაგალითად: თუ თქვენ გინდათ სიტყვა — “ცხენის” დატანა ფურცელზე, რა თქმა უნდა, თქვენ დახატავთ ცხენს, მაგრამ ეს არ გახდება საკმარისი მიზნის საბოლოო მიღწევისთვის, ვინაიდან პატარა ზომის ნახატში მკითხველს, შესაძლოა, ეს ცხოველი სხვა რომელიმე მსგავს ცხოველში აერიოს. ჩემი აზრით, იეროგლიფური ფიგურების შემქმნელები ეძებდნენ მსგავს ფიგურებს შორის იმ საგრძნობ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლების დატანაც აშკარად გამოკვეთდა იმას, თუ რომელი ფიგურა რომელ სიტყვას შეესაბამება. განვიხილოთ მაგალითი ციურ სხეულებზე: ვარსკვლავი (მზე), პლანეტა და თანამგზავრი (მთვარე). სამივე ეს ციური სხეული შეიძლება დაიხატოს წრის ფორმის ფიგურით

What it would happen if the figures were placed in another manner? Let's imagine another location: I – the planet, II – the satellite, III – the change.

In this case such location of the figures would mislead us because we could read in the following way “the change of planet satellite”. As we know, large planets have several satellites. Therefore, this text would make us to think as if the expedition had changed not the planet but had flight from one satellite of the planet to the other one. In order to avoid such ambiguity the figures were located in the given manner and their location exactly describes the above-mentioned change – the expedition had changed one long-distance planet to the planet travelling to the Earth. Consequently, it had changed the satellite. It is reasonable to think that the expedition obtained its bases on the celestial bodies travelling to the earth.

We have considered the celestial bodies existing on the disc and we think it is necessary to make the in-depth analysis why the celestial bodies were given just such graphical image. The symbolic-ideographic writing has its strengths and weaknesses as well as problematic characteristics. For example, say, you want to put the word “horse” on the sheet of paper. So, you will draw a horse but this will not be sufficient for symbolic image because in such small drawing the reader can take this animal for similar another one. In my opinion, the creators of hieroglyphic figures searched in similar figures those significantly different features which could clearly show what figure coincides with what word. Let's highlight the example of celestial bodies: star (the Sun), planet and satellite (moon). All these three celestial bodies can be drawn with the circular figures and this would be quite clear, but if the author wanted to describe on one message all these three figures, the reader would lack the idea what celestial body was implied. In order to avoid the ambiguity, the author should highlight the characteristics of separate celestial body and to attach those features to the relevant figure.

Star (the Sun) – what differs this celestial body from the planets and satellites? The sun lights up, rays.

In the pictograms existing in various places of our planet we meet the images of sun (Fig. 35, a, b, c). They are different but they have the common description: the center (sun disc) and rays or the

და ნამდვილად ვერავინ შემოგედავებათ, მაგრამ თუ თქვენ ერთ წერილში გინდათ სამივე ციურ სხეულზე საუბარი, მაშინ მკითხველისთვის გაუგებარი იქნება, სად რომელ ციურ სხეულზეა ლაპარაკი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინ უნდა იყოს წამოწეული ცალკეული ციური სხეულის მახასიათებლები და ეს ნიშნები დატანილი უნდა იყოს შესაბამის ფიგურაზე.

ვარსკვლავი (მზე) — რას აკეთებს ისეთს, რითაც ის პლანეტისა და თანამგზავრისგან აშკარად განსხვავდება? მზე ანათებს, ასხივებს.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში არსებულ პიქტოგრამებში მრავლად გვხვდება მზის გამოსახულება (**სურ. 35 a.b.c.**). მათ შორის არის სხვაობა, მაგრამ, ძირითადად, ეს ფიგურები ერთნაირად აღიწერება: ცენტრი (მზის დისკო) და ცენტრიდან გამოსული სხივები ან ცენტრი (მზე წერტილის სახით) და მისგან გამოსული შუქის მოქმედების არეალი — წრე.

მეცნიერები, რომლებიც ფესტოსის დისკოს გაშიფვრაზე მუშაობენ, A გვერდის ცენტრში მდებარე ყვავილის ფორმის ფიგურას ვარსკვლავის (მზის) მნიშვნელობას ანიჭებენ.

პლანეტა — პლანეტაზე, მზისგან განსხვავებით, არსებობს მაღლობები და დაბლობები, კლდეები და უფსკრულები, ანუ სხვადასხვა წერტილები. თუ პლანეტის ამსახველ დისკოზე დავსვამთ წარმოდგენილი ჩამონათვალის მიმანიშნებელ წერტილებს, ფიგურა მკვეთრად განსხვავებული იქნება მზის ფიგურისგან, ვინაიდან მზეზე არ არსებობს მაღლობები და დაბლობები, კლდეები და უფსკრულები.

დისკოზე ასევე შეგვხვდება ცოცხალი პლანეტის სიმბოლო, რომელიც წყლისა და მიწის სიმბოლოების კომბინირებით მიიღება და ამით განსხვავდება შორსმავალი უსიცოცხლო პლანეტის სიმბოლოსგან.

თანამგზავრი (მთვარე) — რა სხვაობა არსებობს ორ ციურ სხეულს — პლანეტასა და თანამგზავრს შორის?

1 — თანამგზავრი პატარაა თავის პლანეტასთან შედარებით.

2 — ყველაზე დიდი სხვაობა სახელშივე იკითხება თანა — მგზავრი. თანამგზავრი პლანეტის გარშემო ბრუნავს. პლანეტის მიზიდულობის ძალას თანამგზავრი დაჭერილი ჰყავს, ეს უკანასკნელი იძულებით ბრუნავს

center (the sun in kind of a point) and illuminating area round it – the circle.


The scientists who have been working on the deciphering of the Phaistos disc are giving to the figure of flower shape located in the center of side A, the meaning of the star (the sun).

Planet – unlike the sun, on the planet there are the uplands and lowlands, rocks and abysses, or different points. If we put on the disc describing the planet the points representing those places, we will obtain the figure quite differing from the figure of the sun because the sun has no uplands and lowlands, rocks and abysses.

We can also see on the disc the symbol of living planet in kind of combination of water and land symbol and this distinguishes it from the symbol of lifeless long-distance planet.

Satellite (the moon) – what is the difference between these two celestial bodies, the planet and the satellite?

1 – the satellite is smaller than the planet;

2 – the greatest difference is revealed in the names of those celestial bodies. In Georgian the satellite is called as “tana-mgzavri”, that means a body which turns rounds the planet. The planet keeps the satellite with its attractive force, and the satellite is obliged to turn round the planet and to fly with the planet in the space. Therefore, it is named in such a way. Let’s draw a flying bird, or the force, which has caught a prey, or the satellite, and forces it to fly together with the planet - 

Various satellites – large planets (as we know the long-distance planet approaching us is larger than our earth 3-4 times) sometimes have several satellites. How can we picture them in order not to confuse one with the other? The satellites differ from each other by their size, flight trajectory and direction. So, if we draw the figure picturing the satellite with various directions, this will indicate their different trajectories and will enable us to speak about the different satellites. One may ask: the planet is a satellite of the sun (star) and it constantly turns round it? Earlier I thought in the same way, but recently it has been exposed that all planets do not turn round one and the same star and this, in the first turn, may be applied to the long-distance, travelling planets which withdraw from the sun to the long distance and may visit other suns. So the name “tana-mgzavri” (satellite) more

პლანეტის გარშემო და პლანეტასთან ერთად დაფრინავს კოსმოსში. აქედან გაჩნდა მისი სახელი — თანამგზავრი. დავხატოთ მფრინავი ჩიტი, ანუ ძალა, რომელსაც დაჭერილი ჰყავს ნადავლი, ანუ თანამგზავრი, და აიძულებს მას, იფრინოს პლანეტასთან ერთად — ღჷ



სხვადასხვა თანამგზავრი — დიდ პლანეტებს (როგორც ვიცით, ჩვენკენ მომავალი შორსმავალი პლანეტა 3-4 — ჯერ დიდია დედამიწაზე), ზოგ შემთხვევაში რამდენიმე თანამგზავრი ჰყავს. როგორ შეიძლება ისინი გამოვსახოთ გრაფიკულად ისე, რომ ერთმანეთში არ აგვერიოს? თანამგზავრებს ერთმანეთისგან განასხვავებთ მოცულობა, ფრენის ტრაექტორიები და მიმართულება. ამიტომ, თუ დავხატავთ თანამგზავრის ამსახველ ფიგურას სხვადასხვა მიმართულებით, ეს მათი სხვადასხვა ტრაექტორიის მიმანიშნებელი იქნება, რაც სხვადასხვა თანამგზავრზე საუბრის საშუალებას მოგვცემს. შეიძლება გაჩნდეს კითხვა — პლანეტაც ხომ თანამგზავრია მზის (ვარსკვლავის) მუდმივად მის გარშემო ტრიალებს? ახლო წარსულამდე მეც ასე მეგონა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველა პლანეტა არ ბრუნავს გამუდმებით ერთი და იმავე ვარსკვლავის გარშემო და ეს, პირველ რიგში, ითქმის შორსმავალ — მოხეტიალე პლანეტებზე, რომლებიც დიდი მანძილით განეშორებიან მზეს და, შესაძლოა, სხვა მზესაც კი სტუმრობენ. ასე რომ, სახელი “თანამგზავრი” გაცილებით მეტად შეეფერება პლანეტის გარშემო მბრუნავ ციურ სხეულებს. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენს ლექსიკონში “თანამგზავრი” ჩვენი პლანეტის გარშემო მბრუნავ ციურ სხეულს — მთვარეს ჰქვია და არა ჩვენს პლანეტას.

ამგვარად, მივიღეთ რამდენიმე სხვადასხვა გრაფიკული ფიგურა, რომლებიც ფუნქციურადაც და გრაფიკულადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან და არიან გამოყენებულნი ერთ წერილში ფესტოსის დისკოზე. ეს გარემოება გვიადავლებს შინაარსის მართებულად შეტყობას.

fit to the celestial bodies turning round the planet. This is also confirmed by that fact that in our vocabulary the term “satellite” means the Moon but not our planet.

Therefore, we have several different graphical figures which differ from each other functionally and graphically and are used in one message on the Phaistos disc. This fact facilitates the correct understanding of the content.



a



b




c

სურ. (Fig.) 35- a.b.c — ვარსკვლავების სიმბოლოები / Symbols of stars

მერვე უჯრა

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — განხილული გვაქვს „შერწყმის“, „შეერთების“ სიმბოლო.

II ფიგურა — თეფშის ფორმის საფრენი ხომალდი 

თეფშის ფორმის ფიგურები გვხვდება მექსიკაში, ეგვიპტეში, ჩრდილო კავკასიისა და საქართველოში არსებულ პიქტოგრამებზე. ქვებზე, სადაც კოსმოსურ ექსპედიციებზეა საუბარი.



Eighth cell

Graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the symbol of “merger”, “connection”

Figure 2 – the plate-shape aircraft

The plate-shape figures are found on the pictograms in Mexico, Egypt, North Caucasus and Georgia, on the stones which tell us about the space expeditions.

Figure 3 – sign of direction with the symbolic meaning “from here to there >”.



III ფიგურა — მიმართულების ნიშანი. სიმბოლური მნიშვნელობით — “მიმართვა აქედან > იქით”

IV ფიგურა — ნახევრად ცხოველური იერსახის, ქალის ფიგურა, “მეორე ექსპედიციის” სიმბოლო.

იდეა: შემოგვიერთდა ხომალდი, იქიდან გადმოვიდა მეორე ექსპედიცია.

განმარტება: ის, რომ დედამიწაზე შორსმავალ პლანეტას ერთდროულად მოჰყვა 2 ექსპედიცია, სხვა პიქტოგრამებზეცაა აღწერილი. ორი ექსპედიციის შერწყმა — განშორება განსაკუთრებით კარგად მექსიკურ ქვაზე იკითხება (იხილეთ სურ.17 a.b.) მეცნიერებში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ამ უჯრაში წარმოდგენილი ქალის მსგავსი ფიგურა ეგვიპტურ ღვთაებას უკავშირდება. ეს მოსაზრება ფესტოსის დისკოს გაშიფვრაზე მომუშავე მეცნიერს, ერნსტ გრუმახს ეკუთვნის⁴. მისი აზრით, ეს არ არის ადამიანის ფიგურა. იგივე მტკიცდება ჩვენი გაშიფვრით მიღებულ შინაარსში. ეს წერილი დედამიწის მკვიდრთა მიერ შედგენილი წერილი კი არაა... არამედ უცხო ცივილიზაციის მიერაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელები სწორედ ციდან მოსულ არსებებს აღმერთებდნენ და ნახატებში სწორედ ნახევრად ცხოველური იერსახით წარმოადგენდნენ.

Figure 4 – figure of a woman with a half-animal image, the symbol of second expedition.

Idea: The aircraft connected to us and the second expedition left it.

Interpretation: The fact that the long-distance planet brought to the Earth two expeditions is described on other pictograms as well. The merger-disintegration of two expeditions is very well pictured on the Mexican stone (see Fig. 17 a, b). The scientists think that a woman-like figure reproduced in this cell is connected with the Egyptian deity. This opinion belongs to Ernst Grumakh, the scientist who has been working on the deciphering of Phaistos disc and who states that it is not the figure of a human being.⁴ The same meaning is contained in my deciphering. This message is not left by those who lived in the Earth and neither was it created by a foreign civilization. Noteworthy is that the Egyptians deified the creatures who had visited them from the heavens and reproduced them on their drawings as semi-animals.

მეცხრე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I და V ფიგურები — ცხოველის ტყავი ვერტიკალურად, ანუ სწორ მდგომარეობაშია წარმოდგენილი. სიმბოლური მნიშვნელობით — “სასიცოცხლო გარსი”, “სასიცოცხლო პირობები”.

II ფიგურა — მიმართულების ნიშანი.

III ფიგურა — მინაზე მდგარი მტრედი. სიმბოლური მნიშვნელობით — „მფრინავები მინაზე“, „ფრენის დასასრული“ ან „ფრენის სამზადისი“ (კონტექსტიდან გამომდინარე), ზოგადად “მფრინავები”.

IV ფიგურა — ბაზაზე არსებული ოთახებიდან, ორი ოთახის პერიმეტრი. (სურ.36)

V ფიგურა — შორსმავალი პლანეტა.

VI ფიგურა — ექსპედიციის სიმბოლო.

იდეა: სასიცოცხლო პირობებიდან მოსულ მფრინავთა დაბინავება სასიცოცხლო პირობებში შორსმავალ პლანეტაზე მყოფი ექსპედიციის მიერ.

განმარტება: წარმოდგენილი ოთახები დახურულია, რაც ორი ექსპედიციის ერთმანეთისგან იზოლაციაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს. მიზეზი შეიძლება მათს ფიზიოლოგიურ სხვაობაში იყოს. მაგალითად — ვინ როგორი შედეგნილობის ჰაერს მოიხმარს!

ჩემი აზრით, პირველი ექსპედიცია ლიდერის როლში გვევლინება, ისინი რამდენიმე ხნით ადრე დაეშვნენ აღნიშნულ თანამგზავრზე. შესაბამისად მასპინძლობენ სტუმრებს და მათ მიერ გამზადებულ სასიცოცხლო პირობებში ასახლებენ.

მეათე უჯრა.

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — რქა, სიმბოლური მნიშვნელობით “გამოცვლა”.

II ფიგურა — ჩიტი ნადავლით, სიმბოლური მნიშვნელობით — “თანამგზავრი”.

III ფიგურა — პლანეტა.

IV ფიგურა — ექსპედიციის სიმბოლო.

ყველა ფიგურა გარჩეული გვაქვს. ერთადერთი სიახლეა “რქის” ფიგურის გვერდით არსებული ხაზი, რომელიც აშკარად მიმანიშნებ-



Figure 2 – sign of direction

Figure 3 – the pigeon standing on the ground with the symbolic meaning – “fliers on the ground”, “end of flight” or “readiness for flight” (depending on the context), “fliers” in general.

Figure 4 – perimeter of two rooms of those existing in the base (Fig. 36).


Figure 5 – the long-distance planet

Figure 6 – the expedition symbol.

Idea: the accommodation of fliers arrived from the vital conditions in the vital conditions by the expedition staying on the long-distance planet.

Interpretation: the drawn rooms are closed that may evidence the separation of two expeditions from each other. May be the reason of their isolation is the physiological difference, e.g. what is the composition of atmosphere they used.

In my opinion, the first expedition shall be the leader, and they landed on the said satellite some time earlier. Accordingly, they hosted quests and accommodate them in the vital conditions prepared for them.



სურ. (fig.) 36 — ორი ერთმანეთისგან იზოლირებული ოთახი/ Two rooms isolated from each other



Tenth cell

Graphical and symbolic meanings of figures:

ფიგურების გრაფიკული და სიმბოლური მნიშვნელობები:

I ფიგურა — მიწა.

II ფიგურა — დაუკონკრეტებელი ფორმის ფიგურა, რომლის მარცხენა ნაწილი ანალოგიურად — სარკისებურად მეორდება მარჯვნივ. სიმბოლური მნიშვნელობით — “ანალოგიური”, “მსგავსი”, “ერთი და იგივე”.

III ფიგურა — ორი ხაზი ერთდება და სქელდება, წაგავს მცენარის ფესვის ფრაგმენტს. ფესვი, „სიძლიერის“ სიმბოლო.

IV ფიგურა — შორსმავალი პლანეტა.

V ფიგურა — ექსპედიციის სიმბოლო.

VI ფიგურა — B გვერდის სპირალური ლენტის ბოლო ტიხარი ხუთი წერტილით. ჩვენ შორის ხუთვარსკვლავიანი დაშორების აღმნიშვნელი სიმბოლო.

იდეა: მიწის ანალოგიურით გაძლიერება. შორსმავალი პლანეტისა და ექსპედიციის მისვლა მეხუთე ვარსკვლავამდე.

განმარტება: მცენარეების გარდა, მათ, შესაძლოა დედამიწიდან წაეღოთ მიწაში მოპოვებული (მიწის მსგავსი), მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი ნივთიერებები (სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც მათს პლანეტაზე დეფიციტია ან საერთოდ არ მოიპოვება.

გაშიფრვის დასასრული

საინტერესო დოქი


დავხაზოთ: ექსპედიციის სპირალური სვლით დედამიწასთან მოახლოების მარშრუტი, თავად დედამიწა, და სპირალური სვლით დედამიწისგან განშორება; სურ.49

გავაკეთოთ იგივე ნახაზი ერთადერთი სხვაობით — წარმოვადგინოთ სპირალური გვერდხედიდან; სურ.50

გავაერთიანოთ ორივე სურათი; სურ. 51

შეადარეთ მიღებული სურათი საბერძნეთ-

that their planet as well as the planet of the second expedition had ecological problems and the environmental matters were their priorities.



Thirteenth cell.

Graphical and symbolic meanings of figures:

Figure 1 – the land

Figure 2 – the figure of indefinite shape which left side mirror-like doubles the right side, with the symbolic meaning “similar”, “like”, “one and the same”.

Figure 3 - two lines are connected and merged. This is like the plant root fragment and the root is the symbol of strength.

Figure 5 – the long-distance planet.

Figure 6 – the last partition of the Side B spiral tape with five dots, the symbol of five-star distance between us.

Idea: reinforcement similar to the land, the arrival of the long-distance planet and the expedition to the fifth star.

Interpretation: In addition to plants they could take from the Earth such vitally important substances (minerals) extracted from the land (ground) which were lacking or absent on their planet.

The end of deciphering


THE ANCIENT JUG

Let's draw the route of approach of the expedition to the Earth by a spiral motion, then the Earth and then the departure from the Earth by a spiral motion again. (Fig. 49).

Let's make the same drawing but with one difference – from the side view of the spiral (Fig. 50).

Let's join both pictures (Fig. 51).

Now compare this last picture with the ancient clay jug discovered in Greece (Fig. 52). The similarity is obvious. Now let's recollect the years of space exploration by the men. From the aspect of technical achievement this important fact was displayed on many pictures, various household objects, including the dishes. Consequently, it would not be strange if the people who lived in the ancient époque painted the trajectories of visitors' flight on the household objects. Such facts are found not only in Greece but we often meet them in Georgia. In



სურ. (fig.) 49; 50; 51 — ექსპედიციის მარშრუტი, მონახაზი სხვადასხვა ხედიდან / Expedition route, drawings from various views

ში აღმოჩენილ უძველეს თიხის დოქს; სურ.52 მსგავსება აშკარაა. გაიხსენეთ ადამიანების მიერ კოსმოსის დაპყრობის წლები. ტექნიკური მიღწევის თვალსაზრისით, ამ უდიდესი ფაქტის ამსახველ სურათებს სად არ ნახავდით, სხვადასხვა ყოფით საგნებზე, მათ შორის ჭურჭელზე. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ძველ ეპოქაში მცხოვრებმა ადამიანებმა სტუმართა ფრენის ტრაექტორიები საყოფაცხოვრებო ნივთებზე გამოსახეს. ასეთ ფაქტებს არა მარტო საბერძნეთში, არამედ საქართველოშიც ძალზე ხშირად შეხვდებით. თუშეთში, ხევსურეთში, სვანეთში ხშირია მსგავსი ნახატები და არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთებზე, არამედ საბრძოლო იარაღზე, სახლის ინტერიერში, მოქსოვილ სამოსზეც კი ხშირად იხილავთ სტუმართა ექსპედიციის აღმწერ გეომეტრიული ფიგურების ფრაგმენტებს.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოქი დაახლოებით იმავე ეპოქას განეკუთვნება, რა ეპოქაშიც ფესტოსის დისკოა შექმნილი. დოქი თარიღდება ძვ.წ. 1900-1700წ. და წარმოდგენილია ქალაქ ფესტოსიდან.

ამ ორი ნივთის დათარიღების თანხვედრა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ მათზე დატანილი ინფორმაციები ერთმანეთს უკავშირდება.


განხილული უძველესი არქეოლოგიური ნივთები ინახება კუნძულ კრეტის ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში.

Tusheti, Khevsureti, Svaneti many similar drawings where one can recognize the fragments of geometrical figures depicting the expedition of visitors not only on the household objects but on the firearms, interiors, fabrics.

Noteworthy is that the represented jug is attributed to approximately the same époque as the period where the Phaistos disc was created. The jug is dated back to 1900-1700 B.C. and was found in Phaistos also.

The coincidence of dates of these two things gives us the ground to think that the information displayed on them is connected with each other. .

The considered ancient archeological objects are kept at the Heraklion Archeological Museum, Crete, Greece.



სურ. (fig.) 52 — უძველესი დოქი / Ancient jug

სპირალური ტიპის დამწერლობაზე საუბრისას არ უნდა ვიხმაროთ შემდეგი სიტყვები: ნაწერი შესრულებულია და იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ ან — მარცხნიდან მარჯვნივ, ვინაიდან სპირალის ფორმა სხვადასხვა ეტაპზე მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ და ქვემოთ ზემოთ (სურ. 53). სპირალურ ხელნაწერზე საუბრისას, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა წარმოვთქვათ: ხელნაწერი იკითხება პერიფერიიდან ცენტრისკენ ან ხელნაწერი იკითხება ცენტრიდან პერიფერიისკენ.


ჩვენ ვწერთ იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ვკითხულობთ, ეს ბუნებრივია. შესაბამისად, ფიგურები დისკოზე უნდა ნაკითხვით იმავე მიმართულებით, რა მიმდევრობითაც მათ ოსტატი შეასრულებდა. ფიგურების შესრულების მიმდევრობის გარკვევაში დაგვეხმარება ის ტიხრები, რომლებიც სპირალში ფიგურათა შორისაა ჩახაზული. ჩემი აზრით, როგორც ყველა სერიოზული საქმისთვის, ასევე ფესტოსის დისკოზე ორ ასეულზე მეტი ფიგურის დატანისთვის აუცილებლად იარსებებდა სამუშაოს გეგმა, ანუ ესკიზი (ან დედანი, მაგალითად, ოქროს ფირფიტაზე დატანილი. ამ შემთხვევაში ნახაზის თიხაზე გადმოტანა ინფორმაციის დაკარგვის უსაფრთხოებისთვის იქნებოდა განპირობებული, რადგანაც თიხა ოქრო არ არის, მას არ მოიპარავდნენ, როგორც იპარავენ და ადნობენ ძვირფას ლითონებს), რომელზეც უკვე განსაზღვრული იქნებოდა ფიგურათა ჯგუფებისა და, შესაბამისად, ტიხრების რაოდენობა. არსებული ესკიზის მიხედვით, ოსტატი ვალდებული იქნებოდა შეესრულებინა ეს, არც თუ იოლი, სამუშაო. სპირალში ჩამოხაზული ტიხრების ფორმის ანალიზმა საშუალება მომცა გამეკეთებინა შემდეგი დასკვნა: ოსტატმა სამუშაოები შეასრულა ქვემოთ მოყვანილი მიმდევრობით:

თიხის დისკოზე ესკიზის მიხედვით იქნა დატანილი სპირალი, ყველაზე დიდი ფიგურა, რომელიც შეიქნა დანარჩენი ფიგურების განლაგების განმსაზღვრელი.


რაკი ცნობილი იყო ტიხრების რაოდენობა და მათი განლაგება, მონიშნულ იქნა სპირალის ხაზზე ტიხრის ზედა წერტილები. (სურ. 54)

შემდგომ ამისა, ჩახატეს ფიგურები ცენტრიდან პერიფერიისკენ. ყოველი უჯრა ფიგურ-

When discussing the spiral type writing we shall not use the following words: the inscription was written and should be read from the right to the left or vice versa, because the spiral shape includes several directions at various stages: from right to left, from top to bottom, from left to right and from bottom to top (fig 53). In order to avoid misunderstanding when speaking about the spiral writing we shall decide if the inscription is read from the outside in toward the center or from the center out.



სურ. (fig.) 53



სურ. (fig.) 54

We write in those directions in what we read and this is naturally. Accordingly, the tokens on the disc should be read in the same direction as they were made by the author. To understand the sequence of tokens we will use those partitions between which the figures are drawn. In my opinion, all serious businesses as well as putting more than two hundreds tokens on the Phaistos disc should have a working plan, or sketch (or original, e.g. made on the gold plate. In this case putting the drawing on the clay disc was caused by the prevention of loss of information because clay is not gold, it would not be stolen as precious metals are stolen) which would determine the number of groups of tokens and, accordingly, the number of partitions. According to the available sketches the author should perform this not so easy work. The analysis of shape of the partitions cut by spiral enabled me to

რათა ჩახატვის შემდეგ იხურებოდა ტიხრის ხაზით, ზემოდან ქვემოთ. საყურადღებოა ტიხრის ხაზის მდგომარეობა სპირალურ ხაზთან მიმართებით.

ვგულისხმობ შემდეგს: ჩამოხაზულ ტიხარსა და სპირალის ხაზს შორის წარმოქმნილი კუთხეები ერთმანეთის ტოლი უნდა ყოფილიყო (სურ. 55).

მომდევნო უჯრა არ უნდა შევიწროვებულიყო წინა უჯრის გამო, ამით მომდევნო უჯრაში ფიგურათა დატევის პრობლემა თავიდან იქნებოდა აცილებული. ამასთან ერთად, თანაბარი კუთხეებით ჩამოშვებული ტიხარი ვიზუალურადაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

ლოგიკურია, იბადება კითხვა — ტიხრების საწყისი წერტილების მონიშვნის ნაცვლად, თავიდანვე რომ ჩამოეხაზათ ტიხრები, სილამაზეც არ დაირღვეოდა და ტიხარიც მზად იქნებოდა? მართებული კითხვაა, მაგრამ ვნახავთ, რომ ოსტატი უფრო პრაგმატულად მოაზროვნე გამოდგა. რა არის მთავარი და რა — მეორეხარისხოვანი? რა თქმა უნდა, ოსტატისთვის მთავარი იყო ერთ უჯრაში მოსათავსებელ ფიგურათა ერთობლიობა არ დარღვეულიყო. ამით დისკოზე ყველა ფიგურის დატევა იქნებოდა უზრუნველყოფილი. შესაბამისად, მისი შინაარსი სრულყოფილად იქნებოდა გადმოცემული. სილამაზეც მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ, წინა ამოცანასთან შედარებით, აშკარად მეორე პოზიციაზე დგას.


თუ, ცენტრიდან პერიფერიისკენ დააკვირდებით ტიხრებს, ნახავთ, რომ მათი უმეტესობა მართობულად ეშვება და ასე, ლამაზად ხურავს უჯრას. ხაზის ჩამოშვებით ერთმანეთის ტოლი კუთხეები წარმოიქმნება. წარმოვიდგინოთ მხატვრის მდგომარეობა. მხატვარი ტიხრებისთვის განკუთვნილ მონიშნულ წერტილებს ხედავს და ცდილობს, უჯრაში დასატანი ფიგურები ჩაატოს იმ წარმოსახვითი ტიხრის ხაზამდე, რომლითაც უჯრა უნდა დაიხუროს (სურ. 56).

ასე მიდიოდა ხატვის პროცესი, ვიდრე არ მოხდა ერთი შემთხვევა. ჩემი აზრით, სწორედ ასეთი შემთხვევისთვის გამოიჩინა მხატვარმა ზემოთაღნიშნული წინდახედულობა და პრაგ-

make the following conclusion: the author made the work by the below given sequence:

According to the sketch on the clay disc was cut the spiral, the largest figure which determined the location of all other figures.

After the number and location of partitions were known, on the spiral line were marked the upper dots of the partition (fig. 54).




სურ. (fig.) 55

Thereafter, were drawn the figures from the center out. Each cell after the picture of figures is closed with partition line from up to bottom. Noteworthy is the position of the partition line towards the spiral line.

We imply the following: the angles between the partition and spiral lines shall be equal (fig. 55).

The next cell shall not be narrowed because of the previous cell, by this the problem of fitting of figures in the next cell is avoided. At the same time the partition with equal angles is visually good.

One may ask that why instead of marking the start of the partitions with dots the partitions were not drawn in whole as this would change nothing. This question is quite justified but as we see the author was more pragmatic in this case. What is the priority and what is not a priority? Of course, for the author the priority was not to break the integrity of figures placed in one cell. By this way all figures should be fit



სურ. (fig.) 56

on the disc. Consequently, its content would be represented in full. The smartness is also an important matter but as compared with the content it holds the second place.

If you follow the partitions from the center to periphery you will see that the majority of them are down and close the cell. By putting lines down the author made the equal angles. Let's imagine the author's state.

The author sees the dots intended for partitions and tries to fit the figures to be put in the cell to that line which shall close the cell (fig. 56).

So the process of drawing took place in such way until it was interrupted by one event. In my opinion, just for this event the author exposes such foresight and pragmatism which we have mentioned above. Let's look at the 27th, 28th and 29th cells (fig. 57).

After having drawn up to 100 figures the author may be got tired, may be was lacking attention, and places the figure of fish in the 27th cell slightly far from

მატიზმი. განვიხილოთ A გვერდის 27-ე, 28-ე და 29-ე უჯრები (სურ. 57).


დაიტანა რა 100-მდე ფიგურა, არ ვიცი, გადაღლის, თუ უბრალოდ, უყურადღებობის გამო, 27 უჯრაში თევზის ფიგურას ოსტატი წინა ტიხრის ხაზიდან ოდნავ მოშორებით სვავს. შემდეგი ორი ფიგურაც ოდნავ მოშორებულია წინამორბედს, ამის შემდეგ, აშკარაა, ოსტატი ხვდება დაშვებულ შეცდომას.

ასეთი დაშორებებით რომ გაეგრძელებინა ფიგურების დასმა, ის გასცდებოდა იმ წარმოსახვით ხაზს, რომელიც მონიშნული წერტილიდან უნდა დაშვებულიყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად ოსტატმა შემდეგ ზომას მიმართა: უჯრაში ჩასახატი დანარჩენი ორი ფიგურა მაქსიმალურად ახლოს მიწია ერთმანეთთან, კაცის თავის ფიგურა დახარა კიდეც, სივრცის მოგების მიზნით, მაგრამ ამოდ, ის მაინც გასცდა მონიშნულ წერტილს, საიდანაც მართებულად უნდა დაშვებულიყო უჯრის დამხურავი ტიხარი. ამის შემდეგ ის ცდილობს, სილამაზის დათმობის ხარჯზე გამოსასწოროს მდგომარეობა, ცდილობს, უჯრა წარმოადგინოს იმ შემადგენლობით, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული ესკიზით (ან დედნით). ამისათვის ოსტატი მიმართავს შემდეგ ზომებს:

— ის არ ცვლის წინასწარ მონიშნულ ტიხრის საწყის წერტილს, ვინაიდან მისი მარჯვნივ გაწევა შემდგომი ტიხრების და მთლიანად უჯრების მარჯვნივ გაწევას გამოიწვევდა და, საბოლოო ჯამში, ამ ქმედებით დისკოზე დასატანი ბოლო ფიგურები დისკოს მიღმა დარჩებოდნენ.

— მხატვარი თმობს სილამაზეს. წინასწარ მონიშნული, ტიხრის საწყისი წერტილიდან ჩამოჰყავს ხაზი, მაგრამ, არა მართებულად, არამედ მარჯვნივ გადახრით და ამ გზით ხურავს უჯრას.

— 28-ე უჯრაში მხატვარი აღარ იმეორებს 27-ე უჯრაში დაშვებულ შეცდომას, არამედ კვლავ იღწვის წინა შეცდომის გამოსასწორებლად. 28-ე უჯრის პირველივე ფიგურას აწებებს ტიხარზე, შუა ფიგურას ოდნავ მაღლა წევს, შესაბამისად, მესამე ფიგურას მაქსიმალურად მარცხნივ ათავსებს, რაც ოდნავ ასწორებს მდგომარეობას. ამ უჯრის დასახურად მას კვლავ უხდება სილამაზის დათმობა — მხატვარი მონიშნული წერტილის მდებარეობას არ ცვლის, გამოდის მისგან და ცხოველის ფიგურასთან მარჯვნივ იხრება, რათა ამ რკალით შემოუაროს სხვა უჯრის ტერიტორიაზე



the partition line. The next two figures are slightly separated from each other but then, it seems that the author noted his mistake. If he continued to place the figures with the same interval, the figure would

exceed the line intended for that cell. In order to improve the situation the author applied to the following method: the other two figures in the cell are closer to each other and the man's figure is even inclined in order to gain space but alas, it still exceeds

the marked dot where the partition closing the cell should be set. Thereafter, he tried to improve the situation and to represent the cell with that composition which was in the previously made sketch (or original). For this the author applies the following method:

— he does not change the initial point of the previously marked partition because its shifting to the right would result in the shifting of the next partitions and the cells and, finally, the final figures to be drawn on the disc would not be represented;

— the author gives away the smartness. He puts down the line from the previously marked starting line of the partition, not straightly but inclined to the right and so closes the cell;

— in the 28th cell the author does not repeat the mistake made in the 27th cell but again tries to correct the previous error. He draws the first figure of this cell close to the partition, puts the second figure slightly higher and the third figure places to the maximum left thus improving the situation. To close this cell he again shall give away the smartness — the author does not change the position of the marked point but exceeds it and inclines it right to the figure of animal and by this arc bypasses the figure exceeding the area of another cell. Thos measures appeared to be enough to close the partition of the 29th cell again in straight way and to return to the former smartness. Finally, the author's foresight - not to outline the partition but to mark its start and then to act depending on the situation was very useful. If he outlined the partitions previously the partition lines and figures of 27th and 28th cells would cross each other.

Almost the same took place in the third cell of Side A (fig. 58).

The author drew (from the left) the first five figures and then noted that the man's head and the circle figures do not fit each other in sequence. So, he inclined the man's head and gained the space where he the drew the circle. These actions became sufficient in order to make the cell closing partition line in straight

გასულ ფიგურას. ჩატარებული ღონისძიებები საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ 29-ე უჯრის დასახურად ტიხარი კვლავ მართებულად და ლამაზად ჩამოეშვა მხატვარს. საბოლოო ჯამში, წინდახედულობა — არ ჩამოეხაზა ტიხარი წინასწარ, არამედ მოენიშნა მისი საწყისი და შემდგომ ემოქმედა სიტუაციიდან გამომდინარე, მხატვარს აშკარად გამოადგა. წინასწარ რომ ჩამოეხაზა ტიხრები, მაშინ 27-ე და 28-ე უჯრებში ტიხრის ხაზები და ფიგურები გადაიკვეთებოდა.

დაახლოებით იგივე მოხდა A გვერდის მესამე უჯრაში (სურ. 58).

დაიხატა რა (მარცხნიდან) პირველი ხუთი ფიგურა, აშკარა გახდა, რომ კაცის თავისა და წრის ფიგურები ერთმანეთის მიმდევრობით ვერ დაეტეოდა, მხატვარმა კაცის თავი დახარა, ამით მის ზემოთ დარჩა სივრცე, სადაც ჩაეტია წრე. ეს ქმედებანი საკმარისი გახდა საიმისოდ, რომ უჯრის დამხურავი ტიხარის ხაზი მართებულად ჩამოშვებულიყო. მესამე უჯრა თითქმის 180 გრადუსითაა მოხრილი, ფიგურათა ერთ ხაზზე ჩატევა, შესაძლოა სწორედ ამან გაართულა, რაც უჯრის ბოლოს ერთგვარი „ჭყლეტი“ დამთავრდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენ მიერ შესრულებულ ხელნაწერებშიც ასოების „ჭყლეტა“, უმეტესწილად, ხდება სტრიქონის ბოლოს და არა დასაწყისში. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია, ვინაიდან სტრიქონის ბოლოს ასოების დატევას ცდილობ, დასაწყისში კი ეს პრობლემა არ დგას. იმავეს ვაწყდებით წარმოდგენილ დისკოში, „ჭყლეტა“ ხდება არა ცენტრისკენ ახლო ტიხართან, არამედ პერიფერიისკენ ახლო ტიხართან, ანუ წერის ბოლოს, რაც ფიგურების ცენტრიდან პერიფერიისკენ შესრულებაზე მიგვითითებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, აშკარაა, რომ მხატვარმა ცენტრიდან პერიფერიისკენ დაალაგა ფიგურები, რაც ცენტრიდან პერიფერიისკენ კითხვის მიმართულებას ამართლებს. ჩამოვაცალიბოთ, თუ რა განსაზღვრავს ცალკეული ფიგურის სახის მიმართულებას:

— ფიგურები ძირითადად განლაგებულნი არიან სახით ცენტრიდან პერიფერიისკენ. ეს მიმართულება განსაზღვრა ექსპედიციის მგზავრობის მიმართულებამ, შესაბამისად, კითხვის მიმართულებამ.

— რიგი ფიგურებისა არის ნაწილობრივ გადახრილი, რის მიზეზიც არის უჯრის ბოლოში მომხდარი „ჭყლეტა“, რაც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.



სურ. (fig.) 58

way. The third cell is inclined almost by 180 grades, the figures are fit on one line. May be this was the reason why the end of the cell is so jammed. Noteworthy is that in our handwritings the letters are jammed mainly at the end of lines but not in the beginning. This is absolutely natural because one tries to fit all letters in the end of paragraph but such problem does not exist in the beginning of lines. The same we see on the disc, the jammed figures are met not at the partition which is close to the center, but at the partition

which is close to the periphery, or at the end of writing that also evidences the directionality of figures from the center out.

Subject to the forgoing it is apparent that the author placed the figures from the center out and that the disc should be read from the center to the periphery. Let's generalize what does the direction of faces of some figure determine:

- the figures are mainly directed by their faces from the center to periphery. This direction determined the direction of expedition trip, hence, the direction of reading;
- some figures are partially inclined and jammed in the end of the cells as we have discussed before;
- in addition, we have considered some figures the different direction of faces of which was caused by the intention of giving the justified content of text.

— ასევე, ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ფიგურა, რომელთა სახის სხვადასხვა მიმართულებით განლაგება განპირობებული იყო სპეციალურად ტექსტის მართებული შინაარსის მისაღებად.

შეფარების შესაძლებლობა

მრავალჯერ იყო ფესტოსის დისკოს გაშიფვრის მცდელობა სხვადასხვა ძველ ენაზე. გაკვირვებას იწვევს იმ მეცნიერთა აზროვნება, რომლებიც პიქტოგრამებსა და იეროგლიფების კითხვის ერთადერთ საშუალებად ფონეტიკურ კითხვას მიიჩნევენ. მიმოიხედეთ გარშემო: კომპიუტერულ პროგრამებში, სხვადასხვა დაწესებულებებში, საგზაო ნიშნებსა თუ სხვაგან, ჩვენს ეპოქაში არსებული პიქტოგრამების რაოდენობა დიდი ხანია გასცდა რამდენიმე ათასს და გაუსწრო უძველეს დროში შექმნილი პიქტოგრამებისა და იეროგლიფების რაოდენობას, აღებულს ერთად.

დიდი სურვილი მაქვს, ავტობუსის გაჩერებაზე მდგარ მეცნიერს, რომელიც პიქტოგრამებს ასოთა მნიშვნელობებს ანიჭებს, ვკითხო: ავტობუსის გაჩერებაზე რომ ხატია ავტობუსი, რა არის ეს? ფონეტიკური ნიშნები (ასოები) თუ იდეა იმისა, რომ აქ არის ავტობუსის გაჩერება? რა თქმა უნდა, პასუხი იქნება შემდეგი — ეს ნახატი ავტობუსის გაჩერების ადგილის მიმანიშნებელი იდეაა, ე.ი. ეს პიქტოგრამა იდეოგრაფიკულია. აქ იბადება კიდევ ერთი კითხვა: თუ ჩვენს ეპოქას აქვს უფლება შექმნას რამდენიმე ათასი პიქტოგრამა და გამოიყენოს ის იდეების გადასაცემად, რატომ უკრძალავთ იდეოგრაფიკის ქონას უძველეს ადამიანებს?

მოდით, დაუუკვირდეთ, რატომ ვავითარებთ ჩვენ დღეს პიქტოგრამებით ინფორმაციის გადაცემას? საქმე ისაა, რომ იდეოგრაფიკულ დამწერლობას აქვს ერთი უნივერსალური თვისება: მას არ გააჩნია ენობრივი ბარიერი და მისი შინაარსი გასაგებია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანისთვის. კომპიუტერულ პროგრამებში იყენებენ იდეოგრაფიკას, რადგან ეს პროგრამები სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანისთვისაა გამიზნული. ასევე, საგზაო ნიშნებში მრავლადაა იდეების მატარებელი ნახატები, იმიტომ რომ ტურისტი, რომელმაც არ იცის აღნიშნული ქვეყნის ენა, გაერკვეს საგზაო ნიშნებში და ა.შ.

ისტორიულად ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტე შედგებოდა სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე 40 ნომისგან, ასე რომ, მათთვის ყველას-

HOW TO FIND PROOFS

There were many attempts of deciphering of Phaistos disc into various ancient languages. It is strange enough that some scientists are thinking that the only method of reading of pictograms and hieroglyphs is the phonetic one. Just look around: the number of pictograms of our époque which we can find in the computer programs, at various institutions, on traffic signs and other places has exceeded several thousands and reached the number of pictograms and hieroglyphs created in the ancient times taken together.

Sometimes I would like to ask a scientist who gives to the pictograms the meanings of letters, and is waiting a bus at the bus stop: what does the token of a bus at the bus stop mean? What is it? Is this a phonetic sign (letter) or the idea of a bus stop? Of course, everybody will answer that this drawing is the idea of the bus stop, i.e. this pictogram is ideographical. So then we can ask another question: if there are several thousands pictograms which represent ideas of objects and conduct, why the same way could not be applied by the ancient people?

Let's think why today we use pictograms for reproduction of information? The matter is that the ideographical writing has one universal feature: it has no language barrier and its content is understandable for people who are speaking different languages. They use ideographic in computer program as those programs are intended for people living in different countries. The same concerns the traffic signs because they shall be clear for those tourists who visit other places and do not know the local languages.

It is known that the Ancient Egypt included 40 nomes where people spoke different languages. Therefore for those people introduction of ideographic writing was very important.

If the visitors to our Earth left the phonetic-based writing, what language should it be? Why they should leave such phonetic writing when they mastered such universal method which contained all languages (including the interplanetary) and that writing is called the ideographical – symbol writing.

In my opinion, the only place with ancient inscriptions where hieroglyphs are given such meaning are cartouches, or the oval frames where the Egyptian kings' names are inscribed. The hiero-

თვის გასაგები იდეოგრაფიკული დამწერლობის შემოღება აუცილებელიც კი გახლდათ.

დედამიწის სტუმრებს რომ დაეტოვებინათ ფონეტიკური სახის წერილები, რომელ ენაზე უნდა დაეტოვებინათ ის? რა საჭიროა ფონეტიკური სახის წერილის დატოვება, როცა არსებობს წერის ისეთი უნივერსალური საშუალება, რომელიც მოიცავს ყველა ენას ერთად (მათ შორის საპლანეტაშორისოს) და ამ დამწერლობას ჰქვია იდეოგრაფიკული — სიმბოლური დამწერლობა.

ჩემი აზრით, უძველეს ხელნაწერებში ერთადერთი ადგილი, სადაც იეროგლიფებს ასოთა მნიშვნელობა ენიჭება, არის “კარტუმები”, ანუ ოვალური ჩარჩოები, სადაც ეგვიპტელ მეფეთა სახელებია ჩანერილი. “კარტუმებს” გარეთ იეროგლიფები სიმბოლურად იკითხება. აღნიშნული თემა დაწვრილებითაა განხილული წიგნში “პერსონალური ტორნადო ფარაონის სულისათვის”⁵.

ფესტოსის დისკოზე მომუშავე ადამიანებს შორის ისეთებიც არიან, რომლებიც კითხვის იდეოგრაფიკულ სახეს ემხრობიან, მათ შორის ზოგიერთი დისკოზე დატანილ ინფორმაციას კოსმოსს უკავშირებს. საერთო ჯამში ფესტოსის დისკოს ნაკითხვაზე მრავალ ადამიანს აქვს პრეტენზია, მათ ახლა მეც მივემადე. ეს ქაოსი უნდა დასრულდეს. ამისათვის საჭიროა შემოწმება. წინამდებარე წიგნის დადებით მხარედ მიმაჩნია ის, რომ იგი თავადვე იძლევა წარმოდგენილი თეორიის შემოწმების საშუალებას. როგორ?

ყურადღება მივაპყროთ კოსმოსური სააგენტოების ინფორმაციებს. გავა დრო და შორსმავალი პლანეტა ახალ ექსპედიციასთან ერთად კვლავ მოგვიახლოვდება (ვგულისხმობ იმ ციურ სხეულს, რომელზეც შუმერებმა დაგვიტოვეს ინფორმაცია, რომელიც 3-4 ჯერ დიდია, ვიდრე დედამიწა და 3600 წელში ერთხელ უახლოვდება ჩვენს პლანეტას) სამად სამი კითხვა ფარდას ახდის მრავალ საიდუმლოს. ეს კითხვებია: 1 — იყვნენ თუ არა ადრე დედამიწაზე? 2 — დატოვეს თუ არა წერილები? 3 — არის თუ არა მათი ტრაექტორიები სპირალური? ამ კითხვებზე პასუხი გამოავლენს ჩვენს წიგნში მოცემული თეორიის ძირითად არსს. რაც შეეხება უმნიშვნელო ცდომილებებს, ეს დასაშვებია, მაგრამ ის ვერ იქონიებს ზეგავლენას ძირითადზე. ძირითადი კი არის ის, რომ წარმოდგენილ პიქტოგრაფიკულ სიმბოლოებს, დედამიწაზე უცხოპლანეტელთა მოგზაურობის შესახებ.

glyphs round the cartouches are read symbolically. This theme is discussed in details in the book “Personal Tornado for Pharaoh’s Soul”⁵.


Among people who have been working on the Phaistos disc are those who share the opinion about the ideographical kind of writing, some of them are connecting that information with the space. In general many people claim that they have succeeded to read the Phaistos disc. Now I am one of them. This chaos shall come to its end and this requires proper evidences. The strength of this book is that it provides the opportunity to prove the presented theory. In what way?

Let’s apply to the information from the space agencies. The time will pass and the long-distance planet with a new expedition will again approach the Earth (here we imply that celestial body which is mentioned in the Schumerian sources and which is 3-4 times larger than the Earth and approaches our planet every 3600 years) and will disclose many secrets. Those are: 1 – Did they visit the Earth before? 2 – Did they leave the inscriptions? 3 – Are their trajectories spiral? The answers to these questions will reveal the subject-matter of the theory given in our book. As to some uncertainties, they are admissible but they do not change the main effect. The main thing is that these messages made of pcytograms carry information about the visit of aliens to the Earth.

It is possible that this way of evidence will take a long time. Cognition comes with comparison. Whether we want it or not, the time is passing and we come closer and closer to the discovery of the roaming planet. Another kind of communication may be established with aliens, namely by radio signals. Therefore, the evidence is facing us.

There is one more way to prove the theory contained in this book: in the nearest future the men will again start to explore our satellite – the Moon (Fig. 59). They will build bases on it, start to generate oxygen from ice artificially, cultivate plants at the bases, create such environment which will not be damaged by the solar radiation and such underground rooms where they will hide from the asteroid fall. They will explore gas to solve the energy problems, or the men will act in the same way as it is described on the Phaistos disc because in both cases they will have one and the same concern – to maintain life on the satellite. The coincidence of those events will prove that our deciphering is true.

In my opinion, pictograms shall not be given the



სურ. (fig.) 59. აპოლო 11 — ადამიანი მთვარეზე / Apollo 11 — A man on the Moon

შესაძლოა, შემონმების ეს საშუალება დროში განელილ პროცესად აღვიქვათ. ყველაფერი შედარებითია, ჩვენ დაველოდებით თუ არა, დრო მაინც გადის და გვაახლოვებს მოხეტიალე პლანეტის გამოჩენასთან. უცხოპლანეტელებთან შეიძლება სხვა ტიპის კავშირიც შედგეს, კერძოდ რადიოსიგნალით, ასე რომ, შემონმება გარდუვალია.

არსებობს წინამდებარე წიგში მოცემული თეორიის კიდევ ერთი შემონმების საშუალება: უახლოეს მომავალში ადამიანები თავად დაიწყებენ თანამგზავრის — მთვარის ათვისებას. (სურ.59) ააშენებენ იქ ბაზებს, იზრუნებენ ყინულიდან ჟანგბადის ხელოვნურად გამომუშავებაზე, განალაგებენ ბაზებზე მცენარეებს, შექმნიან ისეთ სივრცეს, რომელსაც ვერ დააზიანებს მზის რადიაცია და ისეთ მიწისქვეშა ოთახებს, რომელშიც დაიმალებიან ასტეროიდების ცვენისას. მოიპოვებენ გაზს ენერგეტიკული პრობლემების გადასაწყვეტად, ანუ ადამიანები იმოქმედებენ ისე, როგორც ეს აღწერილია ფესტოსის დისკოში, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საზრუნავი იქნება ერთი და იგივე — თანამგზავრზე სიცოცხლის შენარჩუნება. ეს თანხვედრა კი იქნება იმის დასტური, რომ ჩვენი გაშიფვრა ჭეშმარიტია.

ჩემი აზრით, პიქტოგრამებს არ უნდა მივანიჭოთ ასო-ბგერათა მნიშვნელობა. პიქტოგრამები იკითხება იდეოგრაფიკულად, ამა თუ იმ პიქტოგრამის გრაფიკული გამოსახულება გვანვდის იდეას, ანუ დასრულებულ სიტყვას. ეს საგულისხმოა მით უფრო, რომ ვიცით: პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი, ის იყო და არის, ყველაფერზე მაღლა მდგარი, კამათზე, ამ ქაოსზე. მან შექმნა სამყარო, ადგილობრივი თუ შორსმავალი პლანეტები და ლამაზი სიცოცხლე მთელ სამყაროში.

meaning of letters and sounds. Pictograms shall be read ideographically; the graphical image of this or that pictogram gives us the idea or the complete word. This is more apparent as we know that “In the beginning was the Word, and the Word was with God, and the Word was God”. This is that, the climax of all, beyond the disputes and the chaos. He created the world, close or far planets and the beautiful life all over the world.

გაგაცნობთ წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ პრობლემატიკის შესახებ, ასტროფიზიკოსის, ფიზიკა მათემატიკის დოქტორის, ბატონ ლევ გეონჯიანის შეხედულებას:

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა მეცნიერთა ორგანიზაცია SETI (Search for Extraterrestrial Intelligence), რომელიც დღესაც აგრძელებს თავის საქმიანობას. რადიოასტრონომიის განვითარებასთან ერთად გაჩნდა რამდენიმე საინტერესო პროექტი. ასტრონომებმა დაიწყეს უცხო ცივილიზაციების რადიოსიგნალების ძებნა. დროდადრო კოსმოსში გადაიცემა სპეციალური, მათემატიკურად კოდირებული ინფორმაცია დედამიწის და ჩვენს შესახებ — იქნებ ვინმემ გვიპასუხოს. ორმოცი წლის წინ შეიქმნა ორგანიზაცია SETI@home, რომელიც იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს კოსმოსური „რადიოხმაურის“ ანალიზისათვის და აერთიანებს ერთ ქსელში მრავალ პერსონალურ კომპიუტერს საკმაოდ შრომატევადი გამოთვლების ორგანიზაციისათვის.

უცხო ცივილიზაციების აღმოჩენის სამეცნიერო პრობლემატიკაში ცალკე დგას მეტად რთული ამოცანა, რომელიც ეხება დედამიწაზე არსებულ სხვადასხვა აუხსნელ მოვლენას ან ნიმუშს, რომელიც არ თავსდება შვენს გამოცდილებაში და წარმოდგენებში. დღემდე გაკვირვებას, გაოცებას იწვევს რამდენიმე ცნობილი მეგალიტური ნაგებობა თავისი დანიშნულებისა და შექმნის ტექნოლოგიის თვალსაზრისით. სასიხარულოა, რომ დროდადრო ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გვთავაზობენ ახალ მიდგომას ამ ობიექტების საიდუმლოთა ასახსნელად. ალბათ ადამიანი ვერ მოისვენებს, ვიდრე არ ამოხსნის ამ გამოცანას — მარტონი ვართ სამყაროში, თუ არა.

ზემოთ ვახსენეთ კოსმოსური „რადიოხმაურის“ კვლევის ორგანიზაცია, რომლის წევრები ცდილობენ ხმაურში ლოგიკურად ანცობილი სასიგნალო თანმიმდევრობების აღმოჩენას. დედამიწაზე არსებული უამრავი პიქტოგრამა ასეთივე მდიდარი საინფორმაციო გარემოა. მასში ანცობილი ინფორმაციული თანმიმდევრობების აღმოჩენა და ინტერპრეტაცია დიდ გამბედაობას მოითხოვს.

ცნობილმა პოლონელმა მწერალმა — სტანისლავ ლემმა, თავის ნაშრომში — „ვარსკვლავებიდან დაბრუნება“, ერთგვარი პესიმისტური პოსტულატიც კი ჩამოაყალიბა: ცივილიზაცია ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ნებისმიერი

Below see the opinion of Mr. Lev Geonjian, Doctor of Physics and Mathematics, astrophysicist, about the problems discussed in this book:

In the 60-ies of the 20th century was created the scientists organization SETI (Search for Extraterrestrial Intelligence) which still continues its activity. Along with the development of radio astronomy appeared several interesting projects. The astronomers started to search the radio signals of alien civilization. From time to time the scientists transmit to the space the special mathematically coded information about the Earth and us, hoping for the answer. 40 years ago was created the organization SETI@home which uses the up-to-date IT technologies for analysis of space radio noise and which integrates in one network many PCs for arrangement of labor-intensive calculations.

In frames of scientific problems of discovery of alien civilizations noteworthy is a very complex problem which regards the various obscure phenomena or examples existing on the Earth. Those phenomena are beyond our experience and imagination. Today nobody can explain the origin of several famous megalithic structures from the aspect of technology of their purpose and creation. It is a very positive fact that from time to time there appear those people who propose a new approach to the interpretation of secrets of those objects. It seems that a man will never stop in his attempts to answer the question – whether we are alone in the space or not?

Above we have mentioned the organization for study of space radio noise which members are trying to find out the logically built signal sequence in those noises. Many pictograms existing on the Earth represent the rich information source. The detection and interpretation of sequences constructed in them requires sheer audacity.

However, the main problem remains the time and space distance scale. The famous polish writer Stanislaw Lem in his novel “Return from the Stars” set forth a kind of pessimistic postulate: the civilization has been developed so quickly that any far expedition loses its sense. The information for the search of which the expedition is sent may be found out by other methods earlier until the expedition comes back. Brothers Strugatsky are offering another approach and describe the hierarchy of civilizations of various levels. In their world there is no problem of overcoming of time and space. One of them is the

შორეული წესპედიცია კარგავს აზრს. ინფორმაცია, რომლის მოსაპოვებლად იგზავნება ექსპედიცია, სხვადასხვა მეთოდებით მოპოვებული აღმოჩნდება გაცილებით ადრე, ვიდრე ექსპედიცია დაბრუნდება.

ძმები სტრუგაცკები გვთავაზობენ სხვა მიდგომას და აღწერენ სხვადასხვა დონის ცივილიზაციათა იერარქიას. მათ სამყაროში დროისა და სივრცის გადალახვის პრობლემა არ დგას. ერთ-ერთი მათგანი სპეციალობით ასტროფიზიკოსია და კარგად იცის, რომ მისი კოლეგები მუშაობენ თეორიებზე, რომლებმაც შესაძლებელია, როდესმე მოგვცენ გადადგილებების დღეისთვის წარმოუდგენელი საშუალებები. დრო-სივრცის ჰიპოტეტური თავისებურება, ე.წ. „თხუნელას სორო“ (<http://en.wikipedia.org/wiki/Wormhole>), სერიოზულად განიხილება როგორც დროში და სივრცეში გადაადგილების შესაძლო ვარიანტი.

რასაც არ უნდა ამბობდნენ სკეპტიკოსები, უცხო ცივილიზაციების ძიება და ამ ამოცანასთან დაკავშირებული ინფორმაცია ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს ამოცანა ახელებს ადამიანს და ნებისმიერი მცდელობა გავაშუქოთ და ოდნავ მაინც წავინიოთ წინ, ან თუნდაც გავაღვიძოთ ინტერესი ამ საკითხის მიმართ, მისასალმებელი და მხარდასაჭერია. ვინც არ ეთანხმება ამა თუ იმ მოსაზრებას, გამოთქვას და ჩამოაყალიბოს თავისი.

astrophisician by specialty and is well aware that his colleagues are working on the theory which will once provide us with the unimaginable facilities of movement. The time and space hypothetical topological feature , the so called “wormhole” (<http://en.wikipedia.org/wiki/Wormhole>), is seriously considered as one of the possible variants of problem for searching facilities of movement in time and in space.

Notwithstanding the skeptics the search of alien civilization and information related to this problem is the integral part of our culture and an attempt to come closer to its solution or even only to awake interest in it shall be welcomed and supported. Those who disagrees with this or that idea let express and form his own.

ღამარსულო არს ენაი ქართული
 დღემდე შეორეო მოსვლისა შესიისა საქაქებლოდ,
 რათა ეოველოს ენასა
 ღმერთიან ახილოს ამით ენითა
 და ესე ენაი
 მძინარე არს დღესამოდღე
 და სახარებისა შინა აძასა ენასა
 ღმარე პქეიან.
 და ახლოა ნინოძე მოაქცია
 და გეოგნე დედოფანობნ,
 ესე არიან ორნი ღანთი,
 ვითარცა მარია და მართაი.
 და გეგზრობაი
 ამისათვის თქვა,
 რამეთუ ეოველი საიდუმლოი
 მას ენასა შინა ღამარსულო არს

იოანე ზოსიმე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ციური ექსპრესი“ — გიზო ვაშაკიძე, თბილისი 2009 წ.
„The Heaven Express“ — Gizo Vashakidze, Tbilisi 2009.
2. „Egyptische Grammatik“ — Adolf Erman, Berlin 1929.
3. „მემცენარეობა“ — გ. ბადრიშვილი, თბილისი 1981 წ.
4. „Таинственные письма первых Европейцев“ — А.А. Молчанов, Москва 1980 г.
5. „პერსონალური ტორნადო ფარაონის სულისთვის“ — გიზო ვაშაკიძე, თბილისი 2003 წ.
„Персональное торнадо для духа фараона“. — Гизо Вашакидзе, Тбилиси 2004 г.

სარჩევი CONTENTS

შესავალი FOREWORD	3
სტუმართა ნაკვალევი დედამიწაზე TRACES OF VISITORS ON THE EARTH	4
კოორდინატები COORDINATES	6
ტრაექტორიები TRAJECTORIES	10
ფესტოსის დისკო — გზავნილი გალაქტიკიდან PHAISTOS DISC — THE MESSAGE FROM THE GALAXY	20
ფესტოსის დისკოს A გვერდის იდეოგრაფიკული გაშიფვრა IDEOGRAPHICAL DECIPHERING OF SIDE A OF THE PHAISTOS DISC	22
ფესტოსის დისკოს B გვერდის იდეოგრაფიკული გაშიფვრა HIEROGLYPHIC DECIPHERING OF SIDE B OF PHAISTOS DISC	47
საინტერესო ფაქტი THE ANCIENT JUG	65
კითხვის მიმართულება DIRECTIONALITY OF READING	66
შემოწმების შესაძლებლობა HOW TO FIND PROOFS	70
დანართი EDITORIAL NOTE	73